# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი პარასკევი 19 იანვარი 2007 №10 (2933) ფასი 50 თეთრი



## შეხვედრა ძველ მეგობართან

ხიზანიშვილი ოპერაციას იკეთებს



# შოთ-OUT

## არველაძე თურქეთთან სათამაშოდაც ვერ მოდის, კობიაშვილი კი ისევ დაშავდა




## ქუდების რევოლუცია

### ზაფხულში დიდი იქნება რიგი: თავის უფლება ფიფასგან

ბოლო წლებში განა ერთხელ და ორჯერ გვსმენია, რომ ესა თუ ის ფეხბურთელი ამა თუ იმ გუნდის ძირითადში ვერ ხვდება, ცხადია, სხვაგან გადასვლა სურს, მყიდველიც არის, მაგრამ მხარეები ფასზე ვერ თანხმდებიან და ამის გამო იწელება დრო, სპორტსმენი უქმად რჩება, პრაქტიკა აკლდება, ითრგუნება... და აი, ამის საწინააღმდეგოდ ფიფამ ახალი წესი შემოიღო, უფრო ზუსტად კი, ევროკავშირისგან გადაიწერა: თუ ფეხბურთელს კონტრაქტი 28 წლამდე აქვს გაფორმებული და კლუბში სამი სეზონი მაინც გაუტარებია, შეუძლია, დარჩენილ დროში ასაღები თანხა გადაიხადოს და თავისუფალი აგენტის ქუდიც დაიხუროს, ხოლო თუ კონტრაქტი 28 წელზე უფროსმა მოთამაშემ გააფორმა, მაშინ ეს ყველაფერი ორსეზონიანი ერთგულების შემდეგაც გვარდება. ასე რომ, ამ ზაფხულზე ევროპაში ვინძლო თვითგამოსყიდულ მოთამაშეთა მთელი რაზმიც ვიხილოთ.

# ნუ გადააჭყვებით სანახაობას!

## 2007 წელს შავი პირი უჩანს დიდი ახალზელანდიელი ოცნების სახლში ბრუნდება



## მანამდე კი: ქართული გამარჯობა ტანა უმაგასგან

ბაჩო სვანიძის ინტერვიუ ტანა უმაგასთან იხილეთ მეთოთხმეტე გვერდზე



# ფიფა საქართველოს უეფაზე დაელაპარაკება

## უგულავა და ახალკაცი ბლატერს მოსკოვში ნახავენ

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გენერალური მდივანი უჩა უგულავა დღეს მოსკოვში ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერთან შესახვედრად გაემგზავრებიან.

მოგეხსენებათ, მოსკოვში ხვალ თანამეგობრობის ჩემპიონთა ტრადიციული ტურნირი იწყება და ასევე ტრადიციულად იქ ფიფას თავკაცი არის მიწვეული.

ბლატერი შაბათ-კვირას ყოფილი საბჭოეთის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციათა წარმომადგენლებს ცალ-ცალკე შეხვდება და ზოგად საკითხებზე გაესაუბრება. თუმცა წლეულს ბლატერთან აუდიენცია, ალბათ, უფრო მეტად უეფას მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლას დაეთმობა.

მოსკოვშივე იქნება უეფას პრეზიდენტობის კანდიდატი ფრანგი მიშელ პლატინი, მას კიდევ ერთხელ მიეცემა საშუალება, აღმოსავლეთ ევროპის ფედერაციების თავკაცებს შეხვდეს და მათგან სიმპათიების კიდევ ერთხელ დამსახურებას ეცდება. ალბათ იცით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა უკვე არაერთხელ თქვა, რომ უეფას საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველო ხმას სწორედ მიშელ პლატინის მისცემს.

**ლუკა თალაკვაძე**

# ტოპმიოლერმა მეტოქეები შეარჩია



**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ელიტ-რაუნდისთვის მზადების პირველ ეტაპს 20-25 იანვარს თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში გაივლის.

გუშინდელ „სარბიელში" გამცნეთ იმ 20 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებსაც ჰაინც ტოპმიოლერი ამ შეკრებაზე წაიყვანს. ახლა კი იმას გეტყვით, რომ შეკრებაზე საქართველოს ნაკრები ორ შეხვედრას გამართავს — 22 იანვარს „ტრაბზონსპორს" ახალგაზრდულ გუნდს შეხვდება, 24 იანვარს კი თურქეთის ჩემპიონატის ქვედალიგელ „არაკლისპორს" გაეჯიბრება. ორივე შეხვედრა თბილისის დროით 15 საათზე დაიწყება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### შოტლანდია

ასოციაციის თასი
მესამე ეტაპი. გადათამაშება

*კიბერნიანი* 4:1 აბერდინი

### ესპანეთი

თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩი

რეალი 1:1 *ბეტისი* (0:0)

### იტალია

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი

არეცო 1:0 *მილანი* (0:2)

### ამხანაგური მატჩები

საუდის არაბეთი 2:1 ბაჰრეინი
ყატარი 0:1 ერაყი
ეკვადორი 2:1 შვედეთი

# შეხვედრა ძველ მეგობართან

## ხიზანიშვილი ოპერაციას იკეთებს



საქართველოს ეროვნული ნაკრების წამყვანი ფეხბურთელების ერთი ნაწილისთვის სეზონი დღეს და მომავალ უქმეებზე განახლდება, ინგლისში კი საშუასეზონო შესვენება არ ყოფილა და ბლექბერნელი ზურაბ ხიზანიშვილისთვისაც სეზონი რა ხანია, გახურებულია... ზურას გუშინ დავუკავშირდით მანჩესტერში და ინგლისური პრემიერლიგის გარდა შოტლანდიურ თემაზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა... „ბლექბერნის" მცველს ჯერ პრემიერლიგის ბოლო ტურში „არსენალთან" დაპირისპირების ამბავი გამოვკითხეთ...

— „არსენალს" შინ ეთამაშებოდით, მეტოქე მე-14 წუთიდან კაცნაკლული დარჩა, მაგრამ მაინც 0:2 წააგეთ...

— „არსენალს" ჟილბერტო რომ გაუგდეს, მყის ასპროცენტიანი საგოლე მომენტი გავაცუდეთ. მერე კი დასანანი გოლი გავუშვით — კოლო ტურემ სამ ბლექბერნელთან ბრძოლაში იმარჯვა — ვერ წარმოვიდგინა, ასეთ სიტუაციაში გოლს თუ გავუშვებდით. ამის შემდეგ დიდი ძალებით შევუტიეთ, მაგრამ ხომ იცით, „არსენალი" რა გუნდია — ბურთის დაჭერასაც ახერხებს და მაღალ სისწრაფეზე თამაშსაც. ლონდონელებმა მეორე გოლი სწრაფი კონტრშეტევით გაგვიტანეს.

— პრემიერლიგაში ახლა შარშანდელზე მოკრძალებული მიზნები უნდა გქონდეთ...

— ასეა, შარშან მეექვსე ადგილზე გავედით, ახლა კი მე-11 ვართ და მიზანი ათეულში მოხვედრაა. უეფას თასზე კი შეზღუდულები სულაც არ ვართ — ამ ტურნირზე, რაც შეიძლება, შორს უნდა წავიდეთ.

— სანაკრებო თემაზე გადავიდეთ. ევრო 2008-ის შესარჩევის უახლოესი მატჩი 24 მარტს გვაქვს შოტლანდიაში. დიდი შანსია, შოტლანდიის მწვრთნელად ალექს მაკლიში დანიშნონ, ვინც „რეინჯერსის" ძირითად შემადგენლობაში ბოლო დროს არ გათამაშებდა — როგორ ფიქრობ, თუ მაკლიშს დანიშნავენ, ეს ჩვენთვის უკეთესი ვარიანტი იქნება?

— უოლტერ სმიტის წასვლამდე შოტლანდია, ასე ვთქვათ, კარგ ტალღაზე იყო, საფრანგეთსაც კი მოუგო და ჯგუფში პირველ ადგილზეა. ვფიქრობ, სმიტის წასვლის შემდეგ შოტლანდიელთა სასიკეთოდ საქმე არ შეიცვლება. თუ მაკლიში დაინიშნება, ეს ჩვენთვის კარგი იქნება — კარგად მახსოვს, რა ფეხბურთს გვათამაშებდა მაკლიში „რეინჯერსში"...

— და რა სტილის მიმდევარია მაკლიში?

— უპირატესობას ძალისმიერ ფეხბურთს ანიჭებს, ის ფეხბურთელები უყვარს, მაგრად რომ იბრძვიან. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ ბრძოლა ერთია და, ფეხბურთის თამაში მეორე.

— შოტლანდიელ ჟურნალისტებს ჯერ არაფერი უკითხავთ 24 მარტის თამაშზე?

— ორი-სამი დღის წინ დამირეკეს ედინბურგიდან და ნაკრების გარდა გოგიტა გოგუაზეც გამომკითხეს. 24 მარტის თამაშზე ვუთხარი, ნახევარი სტადიონი ალბათ ტაშს დამიკრავს, ნახევარი კი — დამისტვენს-მეთქი.

— და თუ მაკლიშს დანიშნავენ მწვრთნელად, ეს შენთვის განსაკუთრებული გამოწვევა იქნება?

— რა თქმა უნდა, მე ხომ ძველ „მეგობარს" შევხვდები.

— შოტლანდიის ნაკრების ფორვარდებიდან რომელს გამოარჩევდი?

— „ევერტონის" გამოცდილ ფორვარდ ჯეიმს მაკფადენს და „რეინჯერსის" ახალგაზრდა თავდამსხმელ კრის ბოიდს. ორივე ჭკვიანი, ბომბარდირული თვისებების ფორვარდია და მხოლოდ ფიზიკურ ძალას არ ეყრდნობიან.

— ბოლოს ჯანმრთელობაზეც გკითხავთ — საზარდულის ტკივილისაგან თავი საბოლოოდ დააღწიე?

— პირიქით, ახლა ორივე საზარდული მაწუხებს. ყოველ ვარჯიშზე მტკივა, თამაშისთვის კი გამაყუჩებელ ნემსებს ვიკეთებ. ეს სეზონი როგორმე ასე უნდა გადავაგორო, მერე კი ოპერაციას გავიკეთებ.

**დავით თავართქილაძე**

# კობიაშვილი ისევ საექიმოა

## შეხვდება ქართველი ზენიტს?



**გელზენკირხენის** „შალკემ" ამხანაგური მატჩი გამართა ქვედალიგელ „როიტლინგენთან" და 4:1 მოიგო.

ჩვენთვის კი ეს თამაში იმითაა საინტერესო, რომ კვლავ შეაწუხა პრობლემებმა ლევან კობიაშვილი — საქართველოს ნაკრების ლიდერს კუნთები ასტკივდა.

„ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. სამწუხაროდ, ლევან კობიაშვილი და პიტერ ლოვენკრანდსი დაშავდნენ" — განაცხადა „შალკეს" თავკაცმა მირკო სლომკამ.

გელზენკირხენული კლუბის ექიმებმა კობი უკვე გასინჯეს და საიმედო დიაგნოზიც დასვეს — სერიოზული და საშიში არაფერია.

მომდევნო მატჩს „შალკე" სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან" გამართავს და, ჯერ ძნელი სათქმელია, კობიაშვილი ითამაშებს თუ არა.

**ქახა შალამბერიძე**



# წყალსაც წაუღია სარწყავი წყალი
## თურქეთი ფეხბურთით დაიფარა

თურქები ამაყობენ, რომ მათ ქვეყანაში წელიწადში 1200 გუნდი გადის შეკრებას. ამ გუნდებს შორის ქართულებიც არიან.
მეოთხე ზამთარია, „ამერი“ თურქეთის ხმელთაშუა ზღვისპირეთში ემზადება, ოღონდ თუ აქამდე ერთხელ ჩადიოდა, ამ ზამთარს თბილისურმა კლუბმა ორი თურქული შეკრება დაგეგმა. მათგან პირველი ამერელებმა გუშინწინ დაასრულეს, მეორეზე კი ერთ კვირაში გაემგზავრებიან. საქართველოს თასის და სუპერთასის მფლობელი გუნდის მთავარ მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს ეს ინტერვიუ პირველი თურქული შეკრების შესახებ ვთხოვეთ...



# იქ, სადაც ბევრია ბურთი
## ჩიხრაძემ სურვილი დროს ვერ დაამთხვია

— შეკრებით კმაყოფილი ვარ, ფეხბურთელებმა საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაო ბოლომდე შეასრულეს — გვითხრა ანთალიიდან დაბრუნებულმა გიორგი ჩიხრაძემ — აქამდე გუნდი პირველ მოსამზადებელ შეკრებას ბაკურიანში გადიოდა, ამჯერად კი პირველ ჯერზევე ანთალიას გავემგზავრეთ და, ვფიქრობ, ეს შეკრება გუნდისთვის სასარგებლო იყო. სამჯერადი ვარჯიშით აქცენტი ფუნქციურ მომზადებაზე გვქონდა. ბიჭები პროფესიულად მიუდგნენ საქმეს და საამდროოდ შესაძლებლობები კარგად წარმოაჩინეს.

**— „ამერს“ ანთალიაში მეორე შეკრებაც აქვს დაგეგმილი. მზადების მეორე ეტაპზე გუნდს ალბათ სულ სხვა დავალებას მისცემთ...**

— რა თქმა უნდა. როგორც გითხარით, ახლა მეტწილად ფეხბურთელთა ფუნქციურ მომზადებაზე ვმუშაობდით, მეორე შეკრებაზე კი სისწრაფეზე, ტექნიკა-ტაქტიკაზე და საშემსრულებლო ოსტატობის დახვეწაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

**— ანთალიაში მხოლოდ ერთი ამხანაგური მატჩი რატომ ჩაატარეთ?**

— თავიდანვე ვფიქრობდით, რომ კარგი იქნებოდა, ერთ ან ორ საწვრთნელ შეხვედრას თუ გავმართავდით. ერთი მატჩი მოულოდნელად ჩაიშალა, წინა დღით მეტოქემ უარი თქვა თამაშზე, მეორე კი მოსკოვის „სპარტაკის“ დუბლებთან ვითამაშეთ — 2:3 წავაგეთ, რაც თავისთავად უსიამოვნო ამბავია, თუმცა სათქმელია, რომ „ამერმა“ ის შეხვედრა საკმაოდ დიდი დატვირთვების ფონზე ჩაატარა და თანაც მოსამზადებელი პერიოდის პირველი მატჩი იყო.

**— ანთალიაში ერთი ახალი ფეხბურთელიც გყავდათ — ლადო კაკაშვილი. დარჩება ის „ამერში“?**

— ლადო ბულგარეთიდან პირდაპირ ანთალიაში შემოგვიერთდა. გუნდს კი მანამდე თბილისში ჰქონდა მზადება დაწყებული და თუ თურქეთში სხვა ფეხბურთელებს შედარებით ნაკლები პრობლემები ჰქონდათ, კაკაშვილს თავიდან, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა. შეკრების პირველი დღეები მისთვის უფრო მძიმე გამოდგა, ვიდრე დანარჩენებისთვის. თუმცა ამჟამად ის ნორმალურად გამოიყურება. სხვათა შორის, აქამდე, როცა მზადების პირველ ეტაპზე ბაკურიანში მივდიოდით ხოლმე, იქ ბუნებრივი პირობების გამო უბურთო ვარჯიშები სჭარბობდა, ამჯერად კი ბურთთან მეტი შეხება გვქონდა და ლადომაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა ამხანაგური მატჩი ერთის მეტი არ გვითამაშია და, შესაბამისად, ეს ფეხბურთელი მოედანზე სრულფასოვნად ვერ ვნახეთ. მეორე შეკრებაზე მასზე დასაკვირვებლად მეტი საშუალება გვექნება და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ამის შემდეგ მივიღებთ.

**— მეორე შეკრებაზე რამდენი მატჩი გაქვთ დაგეგმილი?**

— ორი შეხვედრა ანთალიაში წასვლამდე გვექნება, ოთხი და შეიძლება ხუთიც — თურქეთში.

**— „ამერთან“ ერთად ანთალიაში რამდენიმე სახელიანი გუნდიც ემზადებოდა. მათ მწვრთნელებს და ფეხბურთელებს ხომ არ შეხვედრიხართ, მატჩებს ხომ არ დასწრებიხართ, რაიმე ახალი ხომ არ შეგინიშნავთ?**

— რა თქმა უნდა, საამისო სურვილი დიდი მქონდა, მაგრამ დრო არ იყო. სამჯერადი ვარჯიშები, თეორიული მეცადინეობები... ცხადია, ასეთ შეკრებაზე ბევრ საინტერესოს გაიგებ და როცა კი საშუალება მოგვეცა, მთელი გუნდით „ეფეს პილსენის“ თასის „ვერდერი“ — „ფეიენოორდის“ ფინალს დავესწარით. მაღალი დონის ფეხბურთი ვნახეთ, მოგვიანებით კი ამ შეხვედრის ფირი მოგვაწოდეს და ეს თამაში რამდენჯერმე გავაანალიზეთ.

**— მეორე შეკრებაზე „ამერი“ იმავე შემადგენლობით გაემგზავრება?**

— გამორიცხული არ არის, ფეხბურთელები დავიმატოთ, თუმცა მომავალ შეკრებაზე შემადგენლობა მაინცდამაინც არ შეიცვლება. საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრემდე „ამერში“ სელექცია გაგრძელდება და, შესაძლოა, მეორე ანთალიურ შეკრებამდე ახალი ფეხბურთელები შევიმატოთ.

**— ისე, ანთალიაში „ამერთან“ ახლოს თბილისის „დინამო“ ემზადებოდა. „დინამო“ კი საქართველოს თასის მეოთხედფინალში „ამერის“ მეტოქეა. დინამოელთა რომელიმე მატჩზე ხომ არ ყოფილხართ?**

— არა, რადგანაც ახლა მოსამზადებელი პერიოდია და გუნდი ჯერაც ჩამოყალიბების სტადიაშია, სელექცია არც „დინამოში“ დამთავრებულა. ცხადია, მეტოქეზე ინფორმაცია ზედმეტი არასდროს არის, მაგრამ ამ ეტაპზე „დინამოს“ მატჩებზე დასწრება აუცილებლობას არ წარმოადგენდა. მით უმეტეს, როგორც ვთქვი, საკმაოდ დატვირთული რეჟიმი გვქონდა.

**— მოკლედ, ყველაფერი ისე იყო, როგორც დაგეგმილი გქონდათ? ყველა ფეხბურთელმა დააკმაყოფილა თქვენი მოთხოვნები, თუ ვინმემ იმედები გაგიცრუათ?**

— შემიძლია გითხრათ, რომ ამ შეკრების შემდეგ ფეხბურთელებს მოტივაცია გაეზარდათ. ისეთი დატვირთვების ფონზე, როგორიც „ამერს“ ჰქონდა, თავისთავად სასიამოვნო იყო, საქმისადმი ასეთი სერიოზული, პროფესიული დამოკიდებულება რომ დავინახე.

**კობა ინასარიძე**

**ზამთარში** ანთალიასა და მის შემოგარენში ჩასული კაცი, თუკი ფეხბურთის მოყვარულია, უამრავ საინტერესო რამეს და ვინმეს წააწყდება... შეგიძლია ნახო, როგორ ავარჯიშებს ზიკო „ფენერბაჩეს“ ან დაესწრო „ვერდერისა“ და „ფეიენოორდის“ მატჩს „ეფეს პილსენის“ თასზე. სხვათა შორის, დასწრება უფასოა.

ერთი სიტყვით, თურქეთის საკურორტო სამხრეთი იანვარში ფეხბურთით ცხოვრობს. ცხადია, მკვდარ სეზონზე არასაფეხბურთო ტურისტები იმდენნი არ არიან, ტურიზმის ბიზნესს დიდი მოგება მოუტანონ. აი, ფეხბურთი კი სხვა საქმეა. 1200 კლუბი 2006 წელს — ეს რიცხვი იქაურ ბუკლეტებში შეგიძლიათ ამოიკითხოთ და არა გვგონია, სიმართლისგან შორს იყოს.

მაგრამ, ბუნებრივია, ცხოვრებაში ისე არ ხდება, რომ თურქებისთვის ერთ მშვენიერ დღეს ნახევარი ევროპის კლუბებმა შეკრების გავლა ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მაინცდამაინც თურქეთში გადაწყვიტეს. წინაპირობა სწორედ თურქების ზუსტ გათვლებში უნდა ვეძიოთ.

თბილი კლიმატი ზამთრის თვეებში გუნდების შეკრებაზე მისაზიდად აუცილებელი პირობაა, მაგრამ არა საკმარისი. გუნდი ჩავა იქ, სადაც ხარისხიანი სავარჯიშო მოედნები და სპარინგ-პარტნიორები ეგულება.

ჰოდა, თურქეთის მთავრობამაც, მოედნების მოწყობა რომ წაეხალისებინა, მოედნების მეპატრონეებს სარწყავ წყალზე შეღავათი დაუწესა. არადა, მოედნის მორწყვა მისი ნორმალურ მდგომარეობაში სამყოფად ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა და იაფიც არ ღირს.

ამ გადაწყვეტილების პირველი შედეგი ის იყო, რომ ბიუჯეტმა რაღაც თანხა დაკარგა. სამაგიეროდ, თურქეთის სამხრეთ სანაპიროზე მასობრივად დაიწყო მოედნების მოწყობა და ახლა ყველა თავმოყვარე სასტუმროს ათამდე მოედანი მაინც აქვს.

ანუ შეიქმნა მეორე აუცილებელი პირობა, რაც გუნდს თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე შეკრების გავლას გადააწყვეტინებს.

გუნდების იქ ჩასვლამ კი სპარინგ-პარტნიორთა საკითხიც თავისთავად მოაგვარა. დღეს ნებისმიერი იქაური სასტუმროს ბუკლეტში რამდენიმე გვერდი ეთმობა იმ კლუბების ჩამონათვალს, რომლებიც ბოლო წლებში მათთან გადიოდნენ შეკრებას. ესეც, ცხადია, გუნდების მიზიდვის ერთ-ერთი და არცთუ უმნიშვნელო ხერხია.

ახლა კი გავიმეოროთ ის, რაც ზემოთ ვთქვით: სარწყავ წყალზე შეღავათის დაწესებით ბიუჯეტს თანხა დააკლდა. მაგრამ 1200 გუნდის ჩასვლა?!

1200 გუნდი დაახლოებით 45 ათასი ადამიანია. 45 ათას ადამიანს ანთალიამდე ჩაყვანა უნდა, რაც გვარიანი შემოსავალია თურქული სატრანსპორტო კომპანიებისთვის. 45 ათას ადამიანს დაბინავება სჭირდება, რაც მკვდარი საზღვაო სეზონისთვის საკმაო შემოსავალია იქაური სასტუმროებისთვის. ამდენ ადამიანს, ცხადია, კვებაც სჭირდება და ესეც შემოსავალია კვების მრეწველობისთვის. 45 ათასი ადამიანი, სულ მცირე, თითო სუვენირს მაინც გაიყოლებს თურქეთიდან და ესეც, მოგეხსენებათ, შემოსავალია.

მოკლედ, ყველა ამ შემოსავალს რომ დაითვლი, სარწყავი წყალი წყალსაც წაუღია...

და ერთი ძალიან საინტერესო ფაქტიც, შემოსავლებთან რომ არის დაკავშირებული.

თურქული ტოტალიზატორის, IDDAA-ს ბიულეტენი სიამაყით იუწყება, რომ 2006 წელს მოგებულ მეფსონეებს 750 მილიონი დოლარი გადაუხადა, ბიუჯეტს და სოციალურ-ფონდებს 284 მილიონით შეეწია და ჩვენთვის ყველაზე საინტერესოც: თურქული კლუბებისთვის ამ ტოტალიზატორს 2006 წელს... 100 მილიონი დოლარი შეუწირავს. ამათგან 32 მილიონი სუპერლიგის კლუბებისთვის, დანარჩენი კი დაბალ ლიგებში მოთამაშეებისთვის. და რამდენი წლის ბიუჯეტია 100 მილიონი დოლარი ერთად აღებული ყველა ქართული კლუბისთვის? ჰოდა, აღარ გიკვირს, „გალათასარაი“, „ფენერბაჰჩე“ და „ბეშიქთაში“ შინაურებად რომ ითვლებიან ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასზე...

**გიორგი დარჯანია ბელეკი — თბილისი**

# თურქეთისთვის ალბათ არ ჩამოვალ



**დღეს** ჰოლანდიის ჩემპიონატი განახლდება და შოთა არველაძის „ალკმაარი“ სტუმრად „დენ ჰაგს“ გაეჯიბრება.

„ალკმაარი“ შვებულებაში თორმეტი დღე იყო და არველაძემ დუბაის მიაშურა განსატვირთად.

როგორ ხედება სეზონს საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდი და „ალკმაარის“ კაპიტანი — ამაზე თავად არველაძემ გვიამბო...

— შვებულებიდან დაბრუნებულები შეკრებაზე არ გადავსულვართ — ლუის ვან გაალმა ეს საჭიროდ არ ჩათვალა. ჰოლანიის ჩემპიონატში ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა, რამეთუ პირველ ადგილზე მყოფ პსვ-ს თორმეტი ქულით ჩამოვრჩებით. ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის „აიაქსი“, „ფეიენოორდი“ და „ტვენტე“ იბრძოლებენ. უეფას თასზე კი, რაც შეიძლება, კარგი შედეგი უნდა ვაჩვენოთ.

— თებერვალში „ალკმაარს“ გადატვირთული კალენდარი აქვს და ზუსტად არ ვიცი, 7 თებერვალს საქართველო — თურქეთი ამხანაგური მატჩისთვის ჩამოვალ თუ არა. ალბათ, უფრო არ ჩამოვალ და 24 მარტს შოტლანდიასთან მატჩისთვის საგულდაგულოდ მოვემზადები.

— ვან გაალი ტაქტიკურ განლაგებას არ შეცვლის. „ალკმაარი“ ისევ ორი ფორვარდით ითამაშებს, ჩემი მეწყვილე დენი კოვერმანსი ან მუსა დემბელე იქნება.

**ნიკა ჯორჯაძე**



„კრილია“ — „კრივბასის“ მატჩში ქართველთაგან მხოლოდ ვლადიმერ ბურდულმა (შუაში) ითამაშა

# 1:4 ყაზახეთთან

**საქართველოს** ფუტსალის ნაკრები მალტაზეა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩების ჩასატარებლად.

გუშინ ჩვენმა ნაკრებმა პირველი შეხვედრა ყაზახეთთან გამართა და 1:4 დამარცხდა. ქართველთაგან ერთადერთი გოლი ალეკო ძაბირაძემ შეაგდო, რომელიც, სხვათა შორის, სწორედ ყაზახეთის ჩემპიონატში თამაშობს.

საქართველოს ნაკრებს კუნძულზე კიდევ ორი შეხვედრა ელის: დღეს კვიპროსის ნაკრებს ეთამაშება, 21 იანვარს კი მალტას.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ტესტი მხოლოდ ბურდულისთვის

**რუსულ-უკრაინული** გუნდების ნაწილი შეკრების პირველ ეტაპს თურქეთში ატარებს და საკონტროლო მატჩებს მართავს. დავით მუჯირის „კრილია სოვეტოვი“ ვასილ გიგიაძის და ვლადიმერ ბურდულის „კრივბასს“ შეხვდა. მატჩი უკრაინული გუნდის გამარჯვებით დასრულდა — 1:0.

ამ შეხვედრაში ქართველთაგან მხოლოდ ვლადიმერ ბურდულმა ითამაშა და ისიც მხოლოდ მეორე ტაიმში, მუმუს გამოყვანა კი ტრავმის გამო გამოწვეული ოთხთვიანი პაუზის შემდეგ სამარელთა მწვრთნელმა სერგეი ობორინმა ველარ გარისკა, მცირე ტრავმა აწუხებს კრივბასელ გიგიაძესაც.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სირაძე ბუნდესლიგაში სხვა გუნდით გადავა?

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშე ერცგებირგეს აუე-მ პირველ წრეში სპეციალისტები ძალიან გააკვირვა — გერდ შედლიხის შეგირდებმა რამდენიმე მატჩი მატჩი სენსაციურად მოიგეს და მეორე წრის წინ 29 ქულით მეხუთე ადგილზე არიან.
აუე ბუნდესლიგაში ამსვლელ სამეულს სამი ქულით ჩამორჩება და ერცგებირგელთა წარმატებულ თამაშში თავისი მოკრძალებული წვლილი ქართველ **დავით სირაძესაც** მიუძღვის. დღეს აუე მეორე წრის პირველ შეხვედრას გამართავს სტუმრად „უნტერჰახინგთან“ და ჩვენც სირაძეს გერმანიაში შევეხმიანეთ...



— შეკრება ესპანეთში გაიარეთ, როგორ ფორმაში ხარ?

— შეკრება საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა, მაგრამ ოპტიმალური ფორმისგან ჯერ შორს ვარ. თუმც ეს ნორმალურია — ჩემპიონატი დაიწყება და თანდათან მოვუმატებ.

— შეკრებაზე ჰოლანდიურ „ზვოლეს“ გოლიც გაუტანე...

— 1:0-ს ვაგებდით და ანგარიში გავათანაბრე. მოგვიანებით ძელსაც გავარტყი ბურთი.

— „უნტერჰახინგთან“ რას გეგმავთ?

— ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი გვაკლია, თან წლეულს პირველი ოფიციალური შეხვედრაა და არავინ იცის, ვინ როგორ მოემზადა. ისე, ქულას თუ წამოვიღებთ, ძალიან კარგი იქნება.

— ბუნდესლიგასთან ახლოს ხართ და ამ დროს ყველა ქულა მნიშვნელოვანია. ნუთუ მხოლოდ ფრე გაკმაყოფილებთ...

— ჰო, მაგრამ ჩვენ ბუნდესლიგაში გადასვლას არავინ გვთხოვს. რაც პირველ წრეში მოვახერხეთ, ყველამ სენსაციად მიიჩნია, მათ შორის, კლუბის ხელმძღვანელობამაც. პრეზიდენტმა და მთავარმა მწვრთნელმა მადლობაც გადაგვიხადა და გვთხოვა, ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ.

— ეგ უკვე არ უნდა გაგიჭირდეთ...

— აქ ისეთი სიტუაციაა, შეიძლება, ყველაფერი მოხდეს. სამი ფეხბურთელი ტრავმირებულია, მე და კიდევ სამს ოთხ-ოთხი ყვითელი ბარათი გვაქვს და ერთი გაფრთხილების შემდეგ თამაშს გამოვტოვებთ. ნახევარი გუნდით კი თამაში ძნელია.

— სხვა გუნდებიდან ხომ არ გაქვს შემოთავაზება?

— ჯერ არ მინდა ამ თემაზე საუბარი. ისე, რამდენიმე ვარიანტი მაქვს ბუნდესლიგაში გადამსვლელი გუნდებიდან.

— სანაკრებო თემაზეც ვთქვათ. 7 თებერვალს თურქებს ვუმასპინძლებთ...

— თურქებთან თამაშისთვის ჯერ არავინ შემხმიანებია. ისე კი, კლაუს ტოპმიოლერი ხშირად მირეკავს და, ალბათ, გამომიძახებს — ურუგვაისთან ურიგოდ არ მითამაშია და ეს თავად ტოპმიოლერმა მითხრა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კანკავა დუბაიში, ბარაბაძე შინ

**დნეპროპეტროვსკის** „დნიპრო“ დუბაიში შეკრებაზე წავიდა და თან ერთი ქართველი, ჯაბა კანკავა იახლა, რევაზ ბარაბაძე კი შინ დარჩა.



ვერ გეტყვით, რატომ არ წაიყვანა ოლეგ პროტასოვმა ახალგაზრდა ქართველი თავდამსხმელი, თუმცა ეს ალბათ სერგეი სამოდინის „ბრალი“ უნდა იყოს — უკრაინელებმა არაბეთში სწორედ მოსკოვის ცესკადან შეძენილი ეს ფორვარდი იახლეს.

რაც შეეხება კანკავას, მასზე პროტასოვი დიდ იმედებს ამყარებს და ალბათ ჯაბას ახალი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ფეხის მოკიდება არ გაუჭირდება.

დუბაიში „დნიპრო“ ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს: 25 იანვარს ყარაგანდის „შახტიორს“ შეხვდება, 28-ში კი ავსტრიულ „ზალცბურგს“.

**ბახა ზალამბერიძე**

# უკრაინელებს ციმაკურიძე რეზერვში გაუკვირდათ



**ალჩევსკის** „სტალი“ თურქეთში გაემგზავრა და ერთ დროს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი გიორგი ციმაკურიძე არ წაიყვანა.

ეს ცნობა ისეთი მოულოდნელი გამოდგა, რომ უკრაინული გაზეთებიც კი გაოცებულნი არიან — ციმაკურიძე ხომ „სტალის“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო და პირველ წრეშიც საკმაოდ რიგიანად ირჯებოდა.

კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ციმაკურიძე სარეზერვო გუნდთან ერთად მოემზადება.

**ბახა ზალამბერიძე**

# ქუთაისი თბილისში

## უმაღლეს ლიგამდე უმაღლესი სასწავლებელი

**ხვალ** ქუთაისის „ტორპედო“ მშობლიურ ბაზას დატოვებს და თბილისში გამოემგზავრება. მთავარი მწვრთნელის გიორგი კიკნაძის გადაწყვეტილებით, გუნდი დედაქალაქში ათდღიან შეკრებას გაივლის.

„ტორპედო“ ორჯერად ვარჯიშებს გეგმავს — დილით გუნდი იპოდრომზე ან კუს ტბაზე ივარჯიშებს, საღამოს კი სტუ-სთან მდებარე ხელოვნურსაფარიან მოედანზე გააგორებს ბურთს.

ქუთათურებს საკონტროლო შეხვედრებიც დაგეგმილი აქვთ. როგორც იმერული კლუბის პრესსამსახურის უფროსმა გოგა მინდელმა გვითხრა, „ტორპედომ“ სამი მეტოქე უკვე შეარჩია — „მერი 2“, „მერანი“ და „ლოკომოტივი“, ტორპედოელთა მწვრთნელის გეგმაშია კიდევ ერთი ტესტ-მატჩის გამართვა. სავარაუდო მეტოქეს იმერლები თბილისშივე შეუთანხმდებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**






# გოლფი და ცოლი არის, მაგრამ გოლი სადაა, გოლი?!

## შევჩენკო სამჭკუაშვილია და სასწაულებს ვერ მოახდენს

**მდიდრული** სახლი გოლფის მოედნით, გამოსაჩენ ადგილას დადებული ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ჯილდო „ოქროს ბურთი“, მზეთუნახავი ცოლი... ასეთია ანდრეი შევჩენკოს ყოფა, რომელშიც ერთი შეკითხვაც შედის: კი მაგრამ, სად არის ახალი წარმატებები?

მართლაც, მას მერე, რაც „ჩელსიმ“ „მილანს“ 30 მილიონი გირვანქა გადაუხადა და უკრაინელი ვარსკვლავი იყიდა, ბევრი რამ უარესობისკენ შეტრიალდა. შევჩენკო ვერა და ვერ შედის კარგ ფორმაში, ჟოზე მაურინიუ ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებს და ხალხშიც ხმა დაირხა, რომ პრობლემებისგან დამძიმებული შევა დახმარებისთვის წარამარა კლუბის რუს მეპატრონესთან რომან აბრამოვიჩთან დარბის.

და რა ხდება სინამდვილეში? ამის გასარკვევად სტუმრად მისულ ინგლისელ ჟურნალისტებს 30 წლის ვარსკვლავმა ყავა და რამდენიმე სიმართლე მიართვა:

„როდესაც თამაშის გამო მაკრიტიკებენ არ ვბრაზდები და კრიტიკას ვიღებ, მაგრამ მოედანს მიღმა ამბებზე ტყუილებს ამბობენ.მაგალითად, ჩემი და რომან აბრამოვიჩის ურთიერთობაზე სიმართლე ერთხელაც არ დაწერილა. ჩემი და მისი ურთიერთობა გასახდელში და ვარჯიშებზე თითოწუთიანი შეხვედრებით შემოიფარგლება ანუ ის არაფრით განსხვავდება სხვა ფეხბურთელებისა და აბრამოვიჩის ურთიერთობისგან. თუკი ერთმანეთს სიტყვას გავუცვლით, ეს ნურავის გაუკვირდება, რადგან ორივენი რუსულად ვლაპარაკობთ. ნუთუ ის დავაშავე, რომ რუსულად ვლაპარაკობ? „მილანში“ თამაშის პერიოდში აბრამოვიჩს მხოლოდ იმიტომ ვიცნობდი, რომ ერთხელ, ერთმა რუსულმა გაზეთმა დამაჯილდოვა და ცერემონიალს ისიც ესწრებოდა. მაშინაც, ჩვენს შორის გამარჯობა-გაგიმარჯოს მეტი არაფერი თქმულა. მოკლედ, ხალხი თავს თუ დამანებებს კარგი იქნება. დაე, იმის მიხედვით განმსაჯონ, მოედანზე რას ვაკეთებ, თანაგუნდელებთან ჩემს ურთიერთობას კი თავი დაანებონ, ამ მხრივ ყველაფერი ჩინებულად მაქვს. განსაკუთრებით ფრენკ ლამპარდთან ვმეგობრობ. მასთან „ჩელსის“ გარეთაც მქონია ურთიერთობა და მინდა გითხრათ, რომ ის საუცხოო ბიჭია, თუმცა, ვიმეორებ, სხვებთანაც ჩინებული ურთიერთობა მაქვს. ერთადერთი რაც მინდა, ყველასთან მეგობრობა და მხიარულებაა, სხვა არაფერი მაინტერესებს, ხალხი ვერ ზომავს და ჩემზე სისულელეებს ლაპარაკობს. ხანდახან ისეთ ნათქვამს მომაწერენ, რომ ვერც კი ვხვდები საიდან შეეძლოთ მოეტანათ. ასეთი ამბები მე და ჩემს ოჯახს დიდ ზიანს გვაყენებენ“.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შევჩენკოსა და აბრამოვიჩის ურთიერთობის გარდა არის კიდევ ერთი პრობლემა, მაურინიუ უკრაინელს ძირითადში აღარ ათამაშებს. თურმე ნუ იტყვით და ფორვარდი ამას სრულიად მშვიდად, ყოველგვარი წყენის გარეშე ხვდება.

„მე მაურინიუს უდიდეს პატივს ვცემ. მცემს თუ არა იგი მე პატივს, ამის შესახებ თავად მას ჰკითხეთ, მე ამაზე ვერაფერს გეტყვით. მაურინიომ „ჩელსი“ ზედიზედ ორჯერ მიიყვანა ინგლისის ჩემპიონობამდე და დაამტკიცა, რომ დიდი მწვრთნელია. მის გადაწყვეტილებებს პატივს ვცემ. მე რას ვფიქრობ და განვიცდი მნიშვნელობა არ აქვს, ბოლო სიტყვა მწვრთნელს ეკუთვნის და რა უნდა შევჩენკოს, ამ შემთხვევაში სულერთია. მთლიან გუნდსა და შედეგებზე პასუხისმგებელი მაურინიუა. თუ ის იტყვის, რომ მე ძირითადში სათამაშოდ მზად არ ვარ, ხმის ამოუღებლად დავბრუნდები სავარჯიშო მოედანზე და იმდენს ვიმუშავებ სანამ თამაშს არ დავიმსახურებ“.

შემდეგ შევჩენკომ ყავის მსმელ ჟურნალისტებს რამდენიმე პრობლემაზეც ჩამოუგდო სიტყვა, თუმცა საკმაოდ ტაქტიანად ისიც დაამატა, რომ ეს პრობლემები „ჩელსის“ ქომაგს არ აინტერესებს და არც უნდა აინტერესებდეს. საქმე კი სრულიად გასაგებ სამ ამბავს ეხება: შევჩენკო მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაღლილი დაბრუნდა, ამას დაემთხვა ის, რომ იგი ახალ ქვეყანაში აღმოჩნდა და ახალ გარემოსთან შეგუება დასჭირდა და მეორე შვილი გაუჩნდა.

„დიახ, ჩემი ფეხბურთი ცოტა გაუარესდა, მაგრამ მუხლჩაუხრელად ვმუშაობ, ჯადოქარი კი ნამდვილად არ ვარ სასწაულები რომ მოვახდინო. სურათი ასეთია: გუნდში ახალი კაცი ვარ, ჩემში დიდძალი ფულია გადახდილი, შესაბამისად ჩემგან ბევრს ელიან და ყოველი მხრიდან მიტევენ. ნებისმიერ ადამიანს, სადმე რომ მიდის და რაღაცას რომ იწყებს, იღბალი სჭირდება. ამჯერად კი იღბალმა ზურგი შემაქცია. ფეხბურთს იტალიაში, ინგლისსა და უკრაინაში სულ სხვადასხვანაირად თამაშობენ. ფეხბურთელს განსხვავებულ სტილთან შესაგუებლად დრო სჭირდება, თუმცა აქვე იმასაც დავამტებ, რომ ამ ყველაფერს თავის გასამართლებლად არ ვამბობ. იმაზე, რასაც მოედანზე ვაკეთებ, თავიდან ბოლომდე ვიღებ პასუხისმგებლობას. მინდა დაყინებული შრომა განვაგრძო და უშიშრად მივიწევდე წინ. დიახ, გაწბილებული ვარ, მაგრამ დათრგუნული არ გახლავართ. საერთოდ ასეა, როდესაც საქმეები ცუდად იწყებს წასვლას ხალხი დასკვნების გამოტანას ჩქარობს. მოდი, ნუ ვიჩქარებთ, მოვიცადოთ და მერე ვილაპარაკოთ“.

თუმცა, როგორც ჩანს ყველაფერი წყვდიადითაც არ არის მოცული. მაგალითად, შევჩენკო კმაყოფილია იმით, რომ მისი ცუდი ფორმის და გაჭირვების მიუხედავად, „ჩელსის“ ქომაგები ტრიბუნაზე მაინც მღერიან მასზე შეთხზულ სიმღერებს. საოცარი ის იყო, რომ ეს მაშინაც განმეორდა, როდესაც შევამ „მაკლსფილდთან“ 6:1 მოგებულ შეხვედრაშიც კი ვერ გაიტანა გოლი.

„ამ მხარდაჭერამ ნამდვილად იმოქმედა ჩემზე — განაგრძობს შევჩენკო — თამაშის დროს ვხედავ, რომ ტრიბუნები მხარს მიჭერენ და ეს ოპტიმიზმით ამავსებს. „მაკლსფილდთან“ მომენტებიც მქონდა, მაგრამ გოლი ვერა და ვერ გავიტანე. ასეთია ფეხბურთი. ის მართლაც ძალიან უცნაური რამ არის. „მილანში“ რომ ვთამაშობდი მქონდა სეზონი, როდესაც გოლები ვერ გამქონდა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში გავიმარჯვეთ. ასე და ამგვარად, არანაირ პოლიტიკაში ჩარევა არ მინდა, ცხრა წლის ასაკიდან ჩემი ოცნება ბურთის გორებაა და ახლაც ამასვე ვაპირებ. მე ის ადამიანი ვარ, რომელსაც ფეხბურთში კიდევ ბევრი დარჩა გასაკეთებელი. „ჩელსისთან“ კონტრაქტი ოთხი წლით მაქვს დადებული და არასად წასვლას არ ვაპირებ“.

**ბაკუნა ძედია**

# ორტეგა ბოთლებს და კათხებს იბარებს

## ლოთმა ექიმები ეშმაკებთან გააგზავნა

**არიელ ორტეგას** ალკოჰოლთან დაკავშირებით პრობლემები აწუხებს. არგენტინის ნაკრების ყოფილი ფორვარდი ბოლო წლებში სპირტიან სასმელებს მეტისმეტად შეეჩვია და ახლა გადაწყვიტა კლინიკაში იმკურნალოს.

ორტეგა 32 წლისაა, დღემდე „რივერ პლეიტის“ ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ ითვლებოდა, თუმცა ვეტერანი კაცი სასმელმა ფრიად ჩაითრია და მანაც ასე უთხრა სარეაბილიტაციო ცენტრში სტუმრად მისულ ჟურნალისტებს: „თავი დამანებეთ, ახლა მარტო მოსვენება და მშვიდად ყოფნა მინდა, ფეხბურთს გულს ვეღარ ვუდებ. მინდა, სასმელის სიყვარულისგან თავი მალე დავიხსნა“.

თუმცა როგორი ჯიუტი და დაუჯერებელიც მოედანზე იყო, ისეთივეა ცხოვრებაშიც. თავიდან ორტეგა „რივერ პლეიტის“ მწვრთნელმა დანიელ პასარელამ და პრეზიდენტმა ხოსე მარია აგილარმა ერთ-ერთ სარეაბილიტაციო ცენტრში რომ მიიყვანეს, ფეხბურთელი აყვირდა, ამათ გიჟურ მოთხოვნებს (სპეცთერაპია, დიეტა და ასე შემდეგ) არ შევასრულებ და ეშმაკებთან წასულანო. ეშმაკებთან ექიმები არ წასულან, აი, ორტეგამ კი ლანძღვა-გინებით დატოვა კლინიკა და პასარელას მუდარის მიუხედავად, უკან აღარ დაბრუნებულა.

ერთი დღის შემდეგ მწვრთნელისა და პრეზიდენტის ხვეწნამ გაჭრა და ორტეგა უკვე სხვა კლინიკაში მიიყვანეს. იქ არგენტინელი მკაცრად გააფრთხილეს, თუ მორჩენა გინდა, ექიმებს უნდა დაუჯერო და მათი „სიგიჟეები“ უსიტყვოდ აიტანოო. როგორც არგენტინული გაზეთები წერენ, დანიელ პასარელა თავისი ჭირვეული შეგირდის ჯანმრთელობის ამბავს მობილური ტელეფონით სულ მცირე, დღეში ორჯერ მაინც კითხულობს. „ზის პასარელა ბურთზე, თან ფეხბურთელების ვარჯიშს აკვირდება და თან მორიგე ექიმს ჩაჰყვირის ტელეფონში, რა ქნა ორტეგამ, რაიმე „გმირობა“ კიდევ ხომ არ ჩაიდინაო“ — ეწერა გუშინდელ „კლარინში“.

დაუდგრომელ ორტეგას ფიცხი ხასიათის გამო ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის დახმარება ადრეც დასჭირვებია, მაგრამ სპეციალისტებთან სეანსებს მარტო ერთი კვირით გაუძლო და მერე როგორც სჩვევია, ექიმები ჯანდაბაში გააგზავნა. ვნახოთ, ახლა რაღას იზამს...

**ლადო ხომერიკი**



არიელ ორტეგა კლინიკიდან კლინიკაში მოგზაურობს

# ფიფას ახალი წესი: იყიდე საკუთარი თავი



ფრენკ ლამპარდს ფრენკ ლამპარდის ყიდვა შეუძლია

**ფიფამ** ევროკავშირის ერთი წესი თავისადაც აქცია და ეს სიახლე ფეხბურთელთა გუნდიდან გუნდში გადასვლა-გადმოსვლის ტექნოლოგიას აუცილებლად შეცვლის. საქმე ეხება მოთამაშეთა ტრანსფერებისა და სტატუსის შესახებ დებულების მე-17 მუხლს, რომლის მიხედვითაც ზაფხულიდან, მაგალითად, ჯონ ტერისა და ფრენკ ლამპარდს საშუალება მიეცემათ „ჩელსისგან" საკუთარი კონტრაქტები გამოისყიდონ და ნებისმიერ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბრძანდნენ.

პრეცედენტი უკვე არსებობს: შოტლანდიური „ჰართსის" ფეხბურთელმა ენდი ვებსტერმა გასული სეზონის ბოლოს კლუბთან ანგარიში გაასწორა და „უიგანში" გადაბარგდა, რაც 4 სექტემბერს ფიფამ სრულიად ლეგალურ ტრანსფერად აღიარა ანუ ახალი კანონისთვის მოხდენილად ჩაყარა საფუძველი.

და ახლა მივადექით ყველაზე საინტერესო ნაწილს: როდის და როგორ უნდა გამოისყიდოს ამა თუ იმ ფეხბურთელმა საკუთარი კონტრაქტი?

აქ ორი ვარიანტია, ერთი, როდესაც ფეხბურთელმა კლუბთან კონტრაქტი გააფორმა მანამ, სანამ 28 წლისა გახდებოდა და მეორე, როდესაც ხელშეკრულება მას მერე დაიდო, რაც ფეხბურთელი 28-ისა გახდა.

პირველ შემთხვევაში, კონტრაქტის გამოსყიდვისთვის საჭიროა, მოცემულ ფეხბურთელს სამი სეზონი ან წელიწადი ჰქონდეს ამ კლუბში გატარებული, ხოლო მეორე შემთხვევაში ორიც საკმარისია. თუ ეს პირობა დაკმაყოფილებულია, ფეხბურთელს ნება ეძლევა კლუბი თავისი წასვლის შესახებ საქმის კურსში 15 დღით ადრე ჩააყენოს და გადაუხადოს ის თანხა, რაც ამ კლუბში დარჩენილ დროში უნდა აეღო.

[illegible] ჟურნალისტებმა უმალ ჩამოწერეს იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც, სავარაუდოდ, ახალი წესით უახლოეს თვეებში ისარგებლებენ: ტერი, ლამპარდი და არიენ რობენი „ჩელსიდან", ალან სმიტი „მანჩესტერიდან", ხაბი ალონსო „ლივერპულიდან" და ლუნგბერგი „არსენალიდან".

ამბობენ, რომ ზოგ ლიგაში, მაგალითად იმავე ინგლისურ „პრემიერშიფში" პრობლემა დარჩენილი ხელფასის ტოლი თანხის შოვნა თუ გამეტება იქნება. ვთქვათ, ლამპარდს „ჩელსიდან" წასვლა რომ მოუნდეს, 12 მილიონი გირვანქა ექნება გადასახდელი, მაგრამ საკითხს მეორე მხარეც აქვს: მავან გუნდს ლამპარდის ყიდვა რომ მოუნდეს, არ ურჩევნია ეს ფული გადაუხადოს (ცხადია, ამასთან არ გაახმაურებს, რომ თანხა მისი ჯიბიდან არის და არა ლამპარდის) ვიდრე ის საშინელება, რომელიც ლონდონელი სავარაუდოდ ღირს?

ამბობენ, რომ ეს, ეგრეთწოდებულ „უკმაყოფილო ფეხბურთელთა" მდგომარეობას მნიშვნელოვნად გამოასწორებს.

**პაპუნა ძედია**

# ალესიო სეკო: ყველაფერი იუვენტუსის შესახებ



**ტურინის** „იუვენტუსის" სპორტულმა დირექტორმა ალესიო სეკომ აღნიშნა, ჯანლუიჯი ბუფონი და დავიდ ტრეზეგე გუნდის სამომავლო გეგმებში შედიან და მათ გასხვისებას არ ვაპირებთო. არადა, ორივე ფეხბურთელი ამბობს, ჯერ არ ვიცით, დავრჩებით თუ წავალთო.

„ბუფონის რომელიმე სატრანსფერო ოპერაციაში გამოყენება ან გაყიდვა გამორიცხულია. დარწმუნებულნი ვართ, ჯიჯიც ამ აზრზეა. მისი შეძენა გასულ ზაფხულს „ინტერს" სურდა, მაგრამ ბუფონი მიხვდა, რომ გაყიდვას არ ვაპირებდით და არც თავად ისურვა წასვლა. „ნეროაძურიც" კორექტულად მოიქცა და თავი არ მოუბეზრებია. იგივეს ვიტყვი ტრეზეგეზეც, მისი გაშვება არ გვინდა და იმედი გვაქვს, დავიდის დარწმუნებას შევძლებთ. იგი „იუვეს" ისტორიის ნაწილია და მჯერა, თავს კლუბის მომავლის ნაწილადაც თვლის" — თქვა სეკომ. „ბებერი ქალბატონის" სპორტულ დირექტორს კომენტარი ჰასან სალიჰამიჯიჩზეც ჰკითხეს. მოგეხსენებათ, მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველი მომავალ ზაფხულს ტურინელთა რიგებში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა და გუნდთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ალესიო სეკო: „ამ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდით. კარგი ფეხბურთელი ჩავიგდეთ ხელში, რომელსაც სხვადასხვა პოზიციაზე შეუძლია თამაში, თან იგი უფასოდ დაგვემატება. სალიჰამიჯიჩი „იუვენტუსის" მაისურით სერია A-ში თამაშს იმსახურებს. რაც შეეხება დაცვის გაძლიერებას, ახლა ზუსტად მხოლოდ იმას გეტყვით, რომ სეზონის ბოლოს ვეცდებით, „ჯენოაში" განათხოვრებული დომენიკო კრისტიკო დავიბრუნოთ და მერე მას არსდ აღარ გავუშვებთ".

მარჩელო ლიპიმ ცოტა ხნის წინ თქვა, ეგებ „იუვენტუსში" დავბრუნდეო. ბუნებრივია, ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მაგრამ სეკომ, რომელიც სხვათა შორის, ყოფილი ჟურნალისტია, ამ ვარიანტისგან თავი შორს დაიჭირა.

„ლიპი „იუვენტუსის" სიმბოლო იყო, მაგრამ ახლა დიდიე დეშანი გვყავს, რომელიც ასევე ტიპიური „იუვენტინოა". ჩვენ გვინდა ლიპის წარმატებები გავიმეოროთ. დეშანთან კონტრაქტი 2008 წლამდე გვაკავშირებს და რამდენიმე კვირაში გახანგრძლივებაზე ვიმსჯელებთ" — დასძინა სეკომ.

„იუვენტუსის" პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ კი დაადასტურა, რომ კლუბს ზდენეკ გრიგერას დამატება იანვარშივე სურს. როგორც იცით, ჩეხის „ბებერ ქალბატონში" გადასვლა გადაწყვეტილია, ოღონდ, შეთანხმების თანახმად, ეს მომავალ ზაფხულს უნდა მოხდეს. თუმც ტურინელებს დაცვაში უჭირთ და ამ რგოლის ახლავე გაძლიერება სწადიათ. ამბობენ, ამსტერდამის „აიაქსი" 26 წლის ჩეხს ახლავე დათმობს, მაგრამ 1,4 მილიონი გირვანქის სანაცვლოდო.

„გრიგერას დამატება ამ თვეშივე გვინდა. „აიაქსთან" მოლაპარაკება მიმდინარეობს და იმედია, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე შეთანხმებას მივაღწევთ" — განაცხადა კობოლი ჯილიმ. ბოლო დროს იმაზეც ალაპარაკდნენ, ემერსონს „იუვენტუსში" დაბრუნება უნდაო და კობოლი ჯილიმ მადრიდის „რეალის" ვეტერან ბრაზილიელ ნახევარმცველზეც ისაუბრა: „ემერსონი? არასდროს თქვა, არასდროს. თუმცა ჩემი აზრით, ფეხბურთელები, რომლებმაც წარსულში გუნდიდან წასვლა გადაწყვიტეს, ძნელი სავარაუდოა, დაბრუნდნენ. ითხოვა თუ არა ემერსონმა დაბრუნება? ამის შესახებ არაფერი ვიცი".

და ბოლოს, დეშანს ახალი საფიქრალი გაუჩინა „ჩეზენასთან" გაძევებულმა ჯონათან ძებინამ. მეტოქისთვის ფეხის ჩარტყმა ფრანგ მცველს არ აპატიეს და დისციპლინარულმა კომიტეტმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

„ჯონათან ძებინამ მეტოქეს უკნიდან ფეხი ჩაარტყა. მას მერე რაც გააძევეს, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯსა და თანამსჯს" — ნათქვამია დისციპლინარული კომიტეტის ოფიციალურ განცხადებაში.

**გიორგი ძაძაგაძე**



ქვედა რიგში მარცხნიდან მეოთხე მძღოლია, მეხუთე სქოულზი

# მე მძღოლი ვარ, შენ სქოულზი

**თუკი** პოლ სქოულზის შესახებ რაღაცების შეტყობა სურთ, ისტორიკოსებმა და ჟურნალისტებმა სელფორდელ ჯორჯს უნდა მიაკითხონ, სატვირთო ფურგონის მძღოლს.

ჯორჯ სვითზერი „მანჩესტერის" ყმაწვილთა იმ გუნდის წევრი იყო, რომელშიაც 1992 წელს სქოულზი რაიან გიგზი, დევიდ ბექემი, ნიკი ბათი, გარი ნევილი და რობი სევიჯი თამაშობდნენ.

გუნდს ერიკ ჰარისონი წვრთნიდა და მისი მომგები ინგლისში არავინ იყო.

როცა ბათს და გიგზს უკვე დიდების გუნდებმა დაადგეს თვალი, ბავშვისსახიანი სქოულზისკენ არავინ იყურებოდა. პოლს ასთმა ჰქონდა და თამაშისას ხეირიანად სუნთქვაც კი უჭირდა. ის მარცხენა მცველად თამაშობდა, სვითზერი კი ნახევარმცველად. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სვითზერმა სქოულზს პოზიცია გაუცვალა, მწვრთნელებმა იფიქრეს, რომ პოლს თამაში შეუძლია. ახლა სვითზერი მძღოლია, სქოულზი ვარსკვლავი.

„მისი მარცხენა მცველობიდან არაფერი გამოვიდა — იხსენებს ჯორჯი — ამიტომ იქ მე გადავედი. ყმაწვილთა თასის ფინალში ის სკამზე იჯდა, მაგრამ უკვე ნახევარმცველი იყო. საერთოდ, გუნდს მარცხენა მცველი არ ჰყავდა და პოლი იქ დააყენეს. მაგრამ ერთ თამაშში თავში ძალიან მოხვდა და მის ადგილას მე დავდექი, მან კი შუა მოედანში დაიწყო თამაში. მაღალი მეც არ ვიყავი, მაგრამ პოლი მთლად ჩემი ნახევარი იყო და ცდილობდნენ, როგორმე ჯანზე მოეყვანათ. ის ძალიან ჩუმი და მორცხვი იყო, ალბათ ისეთივე, როგორც ახლა. ის და ნიკი ბათი ერთად მოდიოდნენ ვარჯიშზე, რადგან უბნელები იყვნენ. ნიკი ლაქლაქა და ხუმარა იყო, პოლი კი მდუმარე. სერ ალექსმა ნამდვილად რაღაც დაინახა მასში, იმიტომ, რომ პოლი 16 წლისა გაიხსნა როგორც ფეხბურთელი".

ჯორჯი კი ახლა მხოლოდ უქმეებზე თამაშობს, სამოყვარულო ლიგაში.

**ირაკლი გამყრელიძე**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ბოლო რატომ? კვდება?



მასიმო ოდო

„ლაციოს“ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ „მილანს“ შეუთვალა, რომ მასიმო ოდოს გაყიდვასთან დაკავშირებულ პირობებს მხოლოდ ის აწესებს და ეს ამბავი სხვას არავის ეხება. სიტყვა სიტყვით კი მან ბრძანა: „ამ შემთხვევაში ყველაფერზე მნიშვნელოვანი ჩვენი ინტერესებია“.

შეგახსენებთ, რომ „ბიანკოჩელესტის“ კაპიტანმა დაუფარავად განაცხადა, რომ „მილანში“ გადასვლაზე ოცნებობს და ამის მოგვარება იანვარშივე უნდა, თუმცა შემდეგ საქმე კლუბებს შორის ვაჭრობაზე მიდგა და გაირკვა, რომ ლოტიტო ფასს არ აკლებს, რის გამოც „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, ოდოსთან დაკავშირებით უკვე პესიმისტურად ვარ განწყობილიო.

„გალიანი იქნებ პესიმისტურადაც არის განწყობილი, მაგრამ ეს მისი პრობლემაა და ამ პრობლემას მე ვერ მოვუგვარებ — ასეთი იყო ლოტიტოს შემდგომი რეაქცია — „მილანმა“ „ლაციოს“ ფეხბურთელი სთხოვა, რაზეც „ლაციომ“ უარი არ უთხრა და მოლაპარაკებათა მაგიდასთან დაჯდა, მაგრამ ამ მაგიდასთან პირობებს უკვე ჩვენ ვაყენებთ“.

საინტერესოა, რომ ოდოს განცხადებით „მილანთან“ კვირის მატჩი შესაძლოა ბოლოც იყოს მისთვის „ლაციოს“ შემადგენლობაში, რის გაგონებაზეც ლოტიტომ გაკვირვებისგან წარბები აჭიმა:

„მართლა ასე თქვა? რატომ, კვდება? ჩემი სიტყვების მრავალჯერ გამეორება არ მინდა. მე ფიქრს თავად ვარ დაჩვეული. აქ პრობლემა ფინანსური არ გახლავთ, უბრალოდ „ლაციომ“ ოდოს გაყიდვის შემთხვევაში ადექვატური თანხა უნდა მიიღოს. ყველაფერზე წინ „ლაციოა“, ფეხბურთელების ინტერესები და „მილანი“ კი მხოლოდ ამის შემდეგაა. ის, რომ ჩვენ გუნდის გაძლიერებაზე სერიოზულად ვმუშაობთ, ლუის ხიმენესის ყიდვიდანაც ჩანს. გალიანიმ ჩემი წინადადება იცის, შემდეგი ნაბიჯი კი მასზეა“.

**ბაჩუნა ძიძია**

# ბუღალტერია მორატისა და გალიანის მტერია



**იტალიაში** სკანდალები არ ილევა: „ინტერის“ პრეზიდენტი და „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ყალბი არითმეტიკისთვის მაგისტრატურის ინტერესის სფეროში მოხვდნენ. კერძოდ, ქალაქ მილანის სახალხო პროკურორი კარლო ნოჩერინო მასიმო მორატისა და ადრიანო გალიანის დასაკითხად გამოძახებას უპირებს. დასადგენია, მართლა აყალბებდნენ თუ არა მათი კლუბები ბალანსს, მართლა იმ ფასს აღნიშნავდნენ თუ არა ქაღალდზე, რომლადაც ყიდიდნენ და ყიდულობდნენ ფეხბურთელებს და სხვა.

აქ, აუცილებლად უნდა განვმარტოთ ერთი რამ: იტალიაში გამოძიებაში მოხვედრა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავე ხარ ან წინ რაიმე ბრალდება გელის. ამბობენ, რომ ნოჩერინო გამოძიების შედეგებს იტალიის ფეხბურთის ფედერაციას გადასცემს და შემდეგ ეს ორგანიზაცია თავად გადაწყვეტს რა ქნას, ახალი ძიება წამოიწყოს თუ სხვა რამ გზას დაადგეს. სხვათა შორის, სექტემბერში რომის მაგისტრატურამ ზუსტად ასე დაკითხა „რომას“ პრეზიდენტი ფრანკო სენსი და მისი ყოფილი ლაციოელი კოლეგა სერჯო კრანიოტი, მაგრამ ერთიცა და მეორეც ყოველგვარი ბრალდების გარეშე გამოვიდნენ მდგომარეობიდან. იგივე პროცესებია ქალაქებში გენუასა და ტურინში.

თუმცა დავუბრუნდეთ მილანს, სადაც „ინტერის“ შეფმა მასიმო მორატიმ განაცხადა, რომ სულაც არ აპირებს ამ გამოძიების გამო ნერვიულობას, რადგან სანერვიულო არაფერი აქვს.

„არაფერი გამკვირვებია — თქვა პრეზიდენტმა — ისედაც ვიცოდი, რომ ჩემს საქმეებს იძიებდნენ, მაგრამ რადგან არაფერი დამიშავებია, სანერვიულოც არაფერი მაქვს. ბრალდებები ყოვლად უსაფუძვლოა. 2004-05 წლების სეზონის ბუღალტერია სრულ წესრიგში რომ გვაქვს, ეჭვი არ მეპარება. მე პროკურატურის სამუშაოს პატივს ვცემ და მესმის, რომ ეჭვები უნდა გაიფანტოს, თუმცა საქმე გაზვიადებული რომ არის, ისიც ფაქტია“.

**ბაჩუნა ძიძია**

# ლაზარი და ხარლამპე

**მაკედონიის** ნაკრების მწვრთნელმა სლოვენმა სრეჩკო კატანეცმა განაცხადა, რომ თანამდებობის დატოვება სურს. ამის მიზეზი მაკედონიურ ფეხბურთში დატრიალებული მორიგი სკანდალი გახდა. თურმე, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს ლაზარ მიტროვსკის თანამდებობაზე დანიშვნისას ყალბი დიპლომი წარუდგენია. გაზეთებმა ისიც კი დაწერეს, რომ ახლა, კუთხეში მომწყვდეული ფედერაცია წესდების შეცვლას ცდილობს, რათა მიტროვსკის თანამდებობა გადაურჩინოს.

„მე კი სხვა ხალხთან მუშაობა არ მინდა — განაცხადა კატანეცმა — თუ პრობლემები მომრავლდა და მათი გადაწყვეტის მიზნით ფედერაციის პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის შეცვლას აპირებენ, ესე იგი აპირებენ ჩემს შეცვლასაც. ახალი ხალხი სავარაუდოდ ახალ მწვრთნელს მოიყვანს. მე მაკედონიაში პრეზიდენტმა ხარლამპე ხაჯირესტისკიმ და ლაზარ მიტროვსკიმ მომიყვანეს და სხვებთან თანამშრომლობა არ მინდა“.

**ბაჩუნა ძიძია**


შეი გივენი ხუთჯერ დაალონეს

# ხუთვარსკვლავიანი თამაში ვინჩენცო ორგოლიანი

**ინგლისი**

**ასოციაციის თასი**

**მესამე ეტაპი. გადათამაშება**

**ტოტენჰემი 4:0 კარდიფი**

1:0 ლენონი (27), 2:0 კინი (30), 3:0 მალბრანკი (41), 4:0 დეფო (90)

**ნიუკასლი 1:5 ბირმინგემი**

0:1 მაკშეფრი (5), 0:2 სოლანო (45ს.კ.), 1:2 მილნერი (56), 1:3 ნგოტი (59), 1:4 ლარსონი (83), 1:5 კემბელი (89)

**ფულემი 4:3 ლესტერი**

0:1 ფრიატი (13), 1:1 მაკბრაიდი (35), 1:2 მაკკოული (45), 1:3 ჰქოლოვჭკი (47), 2:3, 3:3 მონტელა (51, 60), 4:3 რუტლეჯი (90)

**„ნიუკასლ იუნაიტედი“** ასოციაციის თასიდან დაითხოვა „ბირმინგემმა“. გადათამაშებაში, რომელიც ნიუკასლშივე გაიმართა, სტივ ბრუსის გუნდმა ხუთვარსკვლავიანი თამაში შექმნა და 5:1 მოუგო მასპინძლებს.

ჯორდი ყმაწვილკაცები, რომლებმაც ასე გმირულად ითამაშეს კვირას „ტოტენჰემის“ წინააღმდეგ, დაბლა დივიზიონის ლიდერთან ხახამშრალნი დარჩნენ.

ასე, საშინაო სათასო თამაში „ნიუკასლს“ 93 წელია რა წაეგო.

რა თქმა უნდა „ნიუკასლს“ ბევრი ახალბედა ჰყავდა მინდორზე, რაც ტრავმების ეპიდემიის ბრალია, მაგრამ „ბირმინგემი“ უკვე მე-5 წუთიდან იგებდა გარი მაკშეფრის გოლით და თამაშიც ხელში ეჭირა. თამაში ისეთი იყო, რომ ნობი სოლანომაც კი თავის კარში გაიტანა.

თავადაც ჯორდი ბრუსი, თასის მეორე რაუნდში გასვლით ძალიან გახარებული იყო, „სენტ ჯეიმს პარკი“ კი სტვენით შეხვდა ფინალურ სასტვენს. თუმცა ხალხი ბევრი არ იყო, უმრავლესობამ ადრევე მიატოვა სტადიონი.

„ტოტენჰემმა“ შინ იოლად გადაურბინა „კარდიფს“, „კრეივენ კოტეჯზე“ კი მაგარი თამაში გახურდა „ფულემსა“ და „ლესტერს“ შორის, გამარჯვების გოლი მსაჯის მიერ დამატებულ დროში ტრავმამოშუშებულმა უეინ რუტლეჯმა გაიტანა, მანამდე კი „ლესტერი“ სამჯერ იგებდა, მეორე ტაიმში კი კრის კოულმენმა მინდორზე ახალწვეული ვინჩენცო მონტელა შეიყვანა. მონტელას ათი წუთი დასჭირდა იმისთვის, რომ ორი გოლი გაეტანა და ანგარიში გაეთანაბრებინა. მერე კი იყო „ფულემის“ ბოლო შტურმი და კედრუს მიერ ჯარიმიდან ჩაკიდული ბურთისთვის „ტოტენჰემისგან“ ნაქირავებმა რუტლეჯმა სამ მცველს აჯობა.

„ანგარიშში სხვაობას არ შევურიგდით — თქვა კრის კოულმენმა — მეორე ტაიმი ძალიან კარგი გამოგვივიდა“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ხვალ მშობელს მოიყვან!

**„მიდლსბროს“** ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფაბიო როჩემბაკმა კლუბს გასაგებად განუცხადა, რომ მათთან თამაში აღარ სურს და იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ლისაბონის „სპორტინგში“ გადასვლას აპირებს.

ბრაზილიელი „მიდლსბროდან“ წასვლას ლამობს, რადგან მწვრთნელმა გარეთ საუთგეიტმა აითვალწუნა, ძირითად შემადგენლობაში აღარ ათამაშებს და სათადარიგოთა სკამს ახეხინებს.

კლუბი ფიქრობდა, რომ როჩემბაკს „სპორტინგს“ სეზონის ბოლომდე ათხოვებდა, მაგრამ თავად ფეხბურთელი უარზეა და „ბოროდან“ საბოლოოდ აბარგებაზე ფიქრობს. ამის შესახებ ბრაზილიელის მამამ ჟუარესმა განაცხადა, რომელიც იმედოვნებს, რომ მისი შვილი „სპორტინგში“ აუცილებლად გადავა. „ფაბიო „მიდლსბროში“ თამაშს უარობს — თქვა უფროსმა როჩემბაკმა პორტუგალიურ „ო ჟოგოსთან“ — კლუბის პატრონს შეხვდა და ყველაფერი გასაგებად უთხრა. მჯერა, რომ ჩემი შვილი კარიერას „სპორტინგში“ გააგრძელებს და გარიგება მომავალ კვირაში შედგება“.




**ირაკლი ნინიძე**

# ხეტაფე გაგიზდა

## ესპანეთი

**თასის მერვედფინალი**

**საპასუხო მატჩები**

***სარაგოსა*** **0:1 მალაგა (2:1)**
0:1 რისტიჩი (14)

***ოსასუნა*** **2:0 ატლეტიკო (1:1)**
1:0, 2:0 პუნიალი (16, 27პ)

**ვილიარეალი 0:1** ***ვალიადოლიდი*** **(1:2)**
0:1 ბარახა (27პ)

**ვალენსია 2:4** ***ხეტაფე*** **(1:1)**
1:0 დ. სილვა (28), 1:1 ნაჩო (31), 1:2 გიზა (46), 1:3 კასკერო (61), 1:4 გიზა (66), 2:4 ალბიოლი (78)

***დეპორტივო*** **1:1 მალიორკა (2:1)**
0:1 იანკოვიჩი (24), 1:1, სერხიო (66პ)

***სევილია*** **3:1 რაიო ვალეკანო (0:0)**
1:0 ალფარო (17), 1:1 მაური (23), 2:1 კანუტი (71), 3:1 ალფარო (85)

***ბარსელონა*** **3:2 ალავესი (2:0)**
1:0, 2:0 სავიოლა (16, 21), 2:1 პაულისტა (35), 2:2 არტური (42), 3:2 სავიოლა (63)



კანუტის გოლმა „რაიო ვალეკანო“ გატეხა

**ესპანური** კოპა დელ რეის მეოთხედფინალში სეგუნდადივიზიონის ერთადერთ წარმომადგენლად „ვალიპდოლიდი“ შემორჩა. კასტილიელებმა „ვილიარეალი“ დაჯაბნეს და ბარახას მიერ პენალტით გატანილი გოლით გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდნენ. „ვილიამ“ კი სუსტად იბურთავა შინაურ „ელ მადრიგალზე“. „ყვითლებს“ სარბიელად მარტო პრიმერადივიზიონი შემორჩათ, ევროტურნირებზე არ არიან და ახლა სამეფო თასზე მონაწილეობის შანსიც გაანიავეს.

„მადრიგალზე“ რიკელმე კვლავ არ გამოჩენილა. ჩანს, არგენტინელი და „ვილიარეალის“ უფროსობა ერთმანეთს სამუდამოდ გაებუტნენ. ამას წინათ „ყვითლებმა“ „ბილბაოს“ მოუგეს. მასპინძელთა მწვრთნელმა პელეგრინიმ „ვალიადოლიდსაც“ ბასკებთან ნაბრძოლ მოიერიშეთა სამეული — ჩილელი ფერნანდესი, მექსიკელი გილ ფრანკო და ურუგვაელი დიეგო ფორლანი — დაუპირისპირა. სტუმართა თავდამსხმელებისგან განსხვავებით ფორვარდთა ტრიომ ვერაფრით ვერ იხეირა. „ვალიადოლიდის“ მწვრთნელმა 4-2-3-1 სქემით ათამაშა თავისი გუნდი, რითაც „ვილიას“ მოიერიშეებიც დაბორკა და თავისიანებსაც მისცა საშუალება, ვიერას მისადგომები შეეწუხებინათ. 27-ე წუთზე არუაბარენამ ვიერას მახლობლად ალვარო მოცელა და პენალტიც ხავიერ ბარახამ დაარტყა იღბლიანად.

ეს ანგარიში „ვალიადოლიდს“ აწყობდა და მასპინძლებიც ანერვიულდნენ — „ყვითლების“ არეული დაცვის შემხედვარე კასტილიელებს გატანა კიდევ ბევრჯერ შეეძლოთ. მერე ჩანიც გააძევეს და „ვილია“ საერთოდ ჰირია. მატჩის მიწურულს კი არბიტრმა კარბალიომ მომხვდურთა ჩემაც გააძევა, რამაც მასპინძლებს მაინც ვერ უშველა.

საკუთარ „მესტალიაზე“ წააგო „ვალენსიამაც“, ოღონდ „ღამურებს“ არა დაბალლიგელებმა, არამედ ბერნდ შუსტერის პრიმერადივიზიონელმა ჯარისკაცებმა გადაუარეს. „ხეტაფემ“ კიკე სანჩეს ფლორესის გუნდს ოთხჯერ გაუტანა, მადრიდელთაგან განსაკუთრებით კარგად კი გიზამ ითამაშა. პირველი გოლი „ვალენსიამ“ შეაგდო, თუმცა რამდენიმე წუთში „ხეტაფემ“ ნაჩოს დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. მეორე ტაიმში გიზამ გაიბრწყინა და მოედანზე დაბრუნებისთანავე გოლი გაიტანა. შემდეგ კასკერო, მერე ისევ ბრწყინვალე გიზა და ანგარიში უკვე 1:4 გახდა. ამას ალბიოლმა უპასუხა და მეოთხედფინალში მადრიდელები გავიდნენ. „ღამურათა“ გაცოფებულმა ინჩასობამ კი თამაშის დასრულებამდე დატოვა „მესტალია“.

| 13008 | სიტი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | უიგანი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | არსენალი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13065 | სელტიკი-სტ.მირენი | 2.10 | 1.60 |
| 13067 | პართსი-ფოლკირკი | 1.90 | 1.70 |
| 13069 | ინვერნესი-ჰიბერნიანი | 1.90 | 1.70 |
| 13070 | კილმარნოკი-დანდი იუნ. | 1.90 | 1.70 |
| 13071 | მოზერუელი-აბერდინი | 1.90 | 1.70 |
| 13072 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 1.90 | 1.70 |
| 13098 | ასკოლი-ატალანტა | 1.70 | 1.90 |
| 13099 | რეჯინა-პალერმო | 1.60 | 2.00 |
| 13100 | კატანია-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 13101 | ემპოლი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13102 | ინტერი-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13104 | ლივორნო-რომა | 1.60 | 2.00 |
| 13106 | პარმა-ტორინო | 1.70 | 1.90 |
| 13107 | სიენა-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 13108 | უდინეზე-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 13109 | ლაციო-მილანი | 1.60 | 2.00 |
| 13142 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13143 | ბარსელონა-ტარაგონა | 2.10 | 1.55 |
| 13145 | ბეტისი-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 13146 | ხეტაფე-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13147 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13148 | ლევანტე-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 13149 | მალიორკა-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13151 | სოსიედადი-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13152 | ვილიარეალი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13154 | სარაგოსა-უელვა | 1.70 | 1.90 |

| რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება) | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ლივერპული-ჩელსი | 1.90 | 1.90 |
| 14002 | ასტონ ვილა-უოტფორდი | 1.30 | 2.50 |
| 14003 | ფულემი-ტოტენჰემი | 1.90 | 1.90 |
| 14004 | მიდლსბრო-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 14005 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 1.60 | 2.30 |
| 14006 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 1.30 | 2.50 |
| 14007 | რედინგი-შეფილდი | 1.60 | 2.30 |
| 14008 | სიტი-ბლექბერნი | 1.75 | 2.10 |
| 14009 | უიგანი-ევერტონი | 1.80 | 1.90 |
| 14010 | არსენალი-მანჩესტერი | 1.90 | 1.90 |
| 14067 | პართსი-ფოლკირკი | 1.30 | 2.50 |
| 14069 | ინვერნესი-ჰიბერნიანი | 2.00 | 1.80 |
| 14070 | კილმარნოკი-დანდი იუნ. | 1.70 | 2.20 |
| 14071 | მოზერუელი-აბერდინი | 1.90 | 1.90 |
| 14072 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 2.60 | 1.20 |
| 14098 | ასკოლი-ატალანტა | 2.00 | 1.80 |
| 14099 | რეჯინა-პალერმო | 2.00 | 1.80 |
| 14100 | კატანია-კალიარი | 1.75 | 2.10 |
| 14101 | ემპოლი-სამპდორია | 1.80 | 1.90 |
| 14102 | ინტერი-ფიორენტინა | 1.20 | 2.60 |
| 14104 | ლივორნო-რომა | 2.20 | 1.70 |
| 14106 | პარმა-ტორინო | 1.80 | 1.90 |
| 14107 | სიენა-კიევო | 1.75 | 2.10 |
| 14108 | უდინეზე-მესინა | 1.30 | 2.50 |
| 14109 | ლაციო-მილანი | 2.00 | 1.80 |
| 14142 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1.55 | 2.10 |
| 14145 | ბეტისი-რასინგი | 1.70 | 2.10 |
| 14146 | ხეტაფე-სელტა | 1.70 | 2.10 |
| 14147 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1.70 | 2.10 |
| 14148 | ლევანტე-ბილბაო | 1.80 | 2.00 |
| 14149 | მალიორკა-რეალი | 2.30 | 1.55 |
| 14151 | სოსიედადი-ვალენსია | 2.20 | 1.65 |
| 14152 | ვილიარეალი-სევილია | 2.00 | 1.80 |
| 14154 | სარაგოსა-უელვა | 1.55 | 2.30 |

| რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ლივერპული-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ასტონ ვილა-უოტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ფულემი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | მიდლსბრო-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | რედინგი-შეფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | სიტი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | უიგანი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | არსენალი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15065 | სელტიკი-სტ.მირენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15067 | პართსი-ფოლკირკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15069 | ინვერნესი-ჰიბერნიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15070 | კილმარნოკი-დანდი იუნ. | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15071 | მოზერუელი-აბერდინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15072 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | ასკოლი-ატალანტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | რეჯინა-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | კატანია-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | ემპოლი-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | ინტერი-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | ლივორნო-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | პარმა-ტორინო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | სიენა-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | უდინეზე-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15109 | ლაციო-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15142 | ატლეტიკო-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15143 | ბარსელონა-ტარაგონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | ბეტისი-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | ხეტაფე-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | დეპორტივო-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | ლევანტე-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | მალიორკა-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | სოსიედადი-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15152 | ვილიარეალი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15154 | სარაგოსა-უელვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

| ფორა ნარეში (ძირ დრო) | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ლივერპული-ჩელსი | 1.80 | 1.80 |
| 16002 | ასტონ ვილა-უოტფორდი | 1.15 | 4.40 |
| 16003 | ფულემი-ტოტენჰემი | 1.80 | 1.85 |
| 16004 | მიდლსბრო-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 16005 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 1.25 | 3.30 |
| 16006 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 1.12 | 4.80 |
| 16007 | რედინგი-შეფილდი | 1.25 | 3.30 |
| 16008 | სიტი-ბლექბერნი | 1.55 | 2.20 |
| 16009 | უიგანი-ევერტონი | 1.75 | 1.90 |
| 16010 | არსენალი-მანჩესტერი | 1.80 | 1.80 |
| 16065 | სელტიკი-სტ.მირენი | 1.02 | 9.00 |
| 16067 | პართსი-ფოლკირკი | 1.20 | 3.70 |
| 16069 | ინვერნესი-ჰიბერნიანი | 1.90 | 1.70 |
| 16070 | კილმარნოკი-დანდი იუნ. | 1.45 | 2.40 |
| 16071 | მოზერუელი-აბერდინი | 1.80 | 1.85 |
| 16072 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 5.00 | 1.12 |
| 16098 | ასკოლი-ატალანტა | 2.20 | 1.55 |
| 16099 | რეჯინა-პალერმო | 2.20 | 1.55 |
| 16100 | კატანია-კალიარი | 1.40 | 2.50 |
| 16101 | ემპოლი-სამპდორია | 1.60 | 2.10 |
| 16102 | ინტერი-ფიორენტინა | 1.08 | 5.50 |
| 16104 | ლივორნო-რომა | 2.80 | 1.30 |
| 16106 | პარმა-ტორინო | 1.60 | 2.00 |
| 16107 | სიენა-კიევო | 1.40 | 2.50 |
| 16108 | უდინეზე-მესინა | 1.15 | 4.20 |
| 16109 | ლაციო-მილანი | 2.20 | 1.50 |
| 16142 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1.30 | 2.90 |
| 16145 | ბეტისი-რასინგი | 1.40 | 2.50 |
| 16146 | ხეტაფე-სელტა | 1.40 | 2.50 |
| 16147 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1.50 | 2.30 |
| 16148 | ლევანტე-ბილბაო | 1.60 | 2.00 |
| 16149 | მალიორკა-რეალი | 3.00 | 1.30 |
| 16151 | სოსიედადი-ვალენსია | 2.50 | 1.40 |
| 16152 | ვილიარეალი-სევილია | 2.00 | 1.60 |
| 16154 | სარაგოსა-უელვა | 1.25 | 3.20 |

| გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად) | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ლივერპული-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ასტონ ვილა-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ფულემი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | მიდლსბრო-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | რედინგი-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | სიტი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | უიგანი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | არსენალი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17065 | სელტიკი-სტ.მირენი | 1.85 | 1.95 |
| 17067 | პართსი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17069 | ინვერნესი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17070 | კილმარნოკი-დანდი იუნ. | 1.85 | 1.95 |
| 17071 | მოზერუელი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | ასკოლი-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17099 | რეჯინა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17100 | კატანია-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ემპოლი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17102 | ინტერი-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ლივორნო-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17106 | პარმა-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17107 | სიენა-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17108 | უდინეზე-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17109 | ლაციო-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17142 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17143 | ბარსელონა-ტარაგონა | 1.85 | 1.95 |
| 17145 | ბეტისი-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17146 | ხეტაფე-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17147 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17148 | ლევანტე-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17149 | მალიორკა-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17151 | სოსიედადი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17152 | ვილიარეალი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17154 | სარაგოსა-უელვა | 1.85 | 1.95 |

ზურაბ საკანდელიძის და მიხეილ ქორქიას მემორიალი

# თსუ ავიასთვის ძალიან ავია

18 იანვარი

**თსუ 93:82 ავიამშენი**

*24:21 21:31 27:18 21:12*

**თსუ:** ვეფხვაძე (17), ლეჟავა (11), შანიძე (9), იმნაძე (11), მათიაშვილი (30); ბ. ბერიშვილი (12), ფანჩულიძე (7), არწივიძე (3), მ.ბერიშვილი

**ავიამშენი:** ი. ბერიშვილი (10), ხოშტარია (9), კეიდია (11), ბაბიაშვილი (18), სუხიშვილი (4); ნინიაშვილი (18), ბარბაქაძე (5), ნიკოლაძე (2), დ. ბერიშვილი (5)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერიკაშვილი, დავით არეშიძე

**აზოტი: 89:68 დინამო**

*29:9 17:22 20:11 23:26*

**აზოტი:** გამყრელიძე (15), ბოისა (9), გოგობერიშვილი (9), ბეჟანიშვილი (8), უგრეხელიძე (5); ლიპარტელიანი (2), დიდია (4), ცეკვავა (2), ტულუში (16), ჭოჭუა (8), ბერძენიშვილი (7), მინაშვილი (4)

**დინამო:** ნ. ნოზაძე (9), ლაფანაშვილი (2), ბოლქვაძე (2), მურჯიკნელი (2), კეშელავა (20); გულისაბედაშვილი (19), ბადრიძე (10), სიგუა (2), გაბაშვილი, ფაიქრიძე, კოლუაშვილი (2)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა

**ირაკლი პერტაია** *რუსთავიდან*

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალზე გუშინ პირველი ფინალისტი გამოვლინდა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა მთავარი კონკურენტი „ავიამშენი“ დაამარცხა და გადამწყვეტი მატჩისთვის მოსამზადებლად მთელი 2 დღე. აქვს. დღეს ტურნირზე დასვენებაა და ხვალ თსუ კალენდრის მიხედვით მაინც უქმობდა — ჰოდა, სტუდენტები საკვირაო ფინალს დასვენებულები შეხვდებიან.

სათასო მატჩში მონაწილეობის უფლება თსუ-მ საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვა. ლევან მოსეშვილის დამოძღვრილი „ავიატორები“ ამ მატჩში გამარჯვების სტუდენტებზე ნაკლებად არ იმსახურებდნენ და ერთი პირობა მნიშვნელოვან უპირატესობასაც მიაღწიეს, მაგრამ...

პირველი ტაიმის ბოლოს „ავიამშენმა“ როგორც იქნა, მოარგო გასაღები სტუდენტების დაცვას და ფარქვეშაც გამაგრდა. მანამდე თსუ-ს მეფარეები მძლავრობდნენ და ლევან მოსეშვილიც წამდაუწუმ ცვლიდა ტანმაღალ მოთამაშეებს. რიჩარდ მათიაშვილი და დავით იმნაძე სტუდენტთა ფარქვეშა გარანტს წარმოადგენდნენ და პირველი მეოთხედიც მცირედით თსუ-მ მოიგო — 24:21.

მეორე ათწუთეულში, როგორც ვთქვით, „ავიატორთა“ ჯერიც დადგა და დავით ბარბაქაძის სროლის შემდეგ მათი ყველაზე დიდი უპირატესობაც აღინიშნა — 40:31.

მეორე ტაიმი და სტუდენტების გალაღება ერთდროულად დაიწყო. თსუ-მ სისწრაფეს უმატა და ძირითადად დაბალი მოთამაშეების დახმარებით ჯერ ჩამორჩენა შეამცირა, ხოლო მეოთხედის სირენის თანხლებით ჩაგდებული სამქულიანით ლიდერობა კვლავ დაიბრუნა — 72:70. თავი ლუკა შანიძემ გამოიჩინა.

ბოლო მეოთხედში ყველა დაძაბულ ბრძოლას ელოდა, მაგრამ „ავიამშენს“ ორი გამთამაშებელი, ტყუპი ბერიშვილები პერსონალურთა ლიმიტის გამო გაუვარდა და სტუდენტებმაც ფინალი გაინაღდეს.

მეორე მატჩს ფიქტიური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან „აზოტი“ რომ იოლად მოუგებდა „დინამოს“, ყველას კარგად მოეხსენებოდა.

რუსთაველები ფაქტობრივად ფინალში არიან, — სტუ მათი დამმარცხებელი არის და ეს დიდმა თუ პატარამ იცის.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ნბა-ში მგელი არ შენდა [illegible]

17 იანვარი

**მინესოტა 88:105 ატლანტა**

**მინესოტა:** ჯეიმსი (13), დევისი (13), ჰასელი (4), გარნეტი (13 ქულა, 13 მოხსნა), ბლუნტი (16 ქულა, 11 მოხსნა); სმიტი (8), ჰადსონი (7), ფოი (6), რიდი (4), რაიტი (2), მადსენი (2)

**ატლანტა:** აივი (5), ჯონსონი (29), მ. უილიამსი (7), სმიტი (21), რაიტი (5); ფაჩულია (19 წუთი, 12 ქულა, 4 პასი, 2 მოხსნა), ჩილდრესი (11), შ. უილიამსი (6), სტუდემაიერი (6), მედვედენკო (2), ჯონსი, ტომპსონი

**სან ანტონიო 96:100 ლეიკერსი**

**სან ანტონიო:** დანკანი (26), პარკერი (25), ჯინობილი (16)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (34 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა)

**ვაშინგტონი 99:98 ნიუ იორკი**

**ვაშინგტონი:** ბატლერი (27), ჯემისონი (21), არენასი (16)

**ნიუ იორკი:** რიჩარდსონი (35), კარი (18)

**ტორონტო 101:85 საკრამენტო**

**ტორონტო:** პიტერსონი (22), ბოში (20), გარბახოსა (16)

**საკრამენტო:** ბიბი (21), მარტინი (18), არტესტი (18)

**შარლოტი 85:92 ნიუ ჯერსი**

**შარლოტი:** ფელტონი (18), ოკაფორი (14 ქულა, 21 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (26), კიდი (17)

**დეტროიტი 99:100 იუტა**

**დეტროიტი:** ბილაფსი (26), პრინსი (17)

**იუტა:** უილიამსი (31), ოქური (22), ბუზერი (18)

**მემფისი 118:102 ფილადელფია**

**მემფისი:** მილერი (30), გაი (23)

**ფილადელფია:** კორვერი (30), გრანი (23)

**მილუოკი 90:99 ჩიკაგო**

**მილუოკი:** ილიასოვა (22), პატერსონი (15)

**ჩიკაგო:** ნოჩიონი (21), გორდონი (20), დენგი (19)

**პორტლენდი 94:76 კლივლენდი**

**პორტლენდი:** რენდოლფი (26 ქულა, 12 მოხსნა)

**კლივლენდი:** ჯეიმსი (23), ჰიუზი (17)

**კლიპერსი 115:109 გოლდენ სტეიტი**

**კლიპერსი:** ბრენდი (27 ქულა, 11 მოხსნა), როსი (24), კასელი (23 ქულა, 13 პასი), მობლი (20)

**გოლდენ სტეიტი:** ელისი (28), აზუბუიკე (28), დევისი (23 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)

**ჰიუსტონი 91:100 ფინიქსი**

**ჰიუსტონი:** ალსტონი (29), ჰედი (16), ბეტიე (16)

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (22 ქულა, 11 მოხსნა), ნეში (21 ქულა, 14 პასი), ბარბოსა (20)

მაიკ ვუდსონს, როგორც ჩანს, ჭკუაში დაუჯდა საუკეთესო მეფარის სკამზე დასმა. წინა შეხვედრაში ვუდსონმა ზაზა ფაჩულია სათადარიგოდ გაამწესა, რისი მიზეზიც მისი მცირედი ტრავმა იყო. ზაზამ 15 იანვარს „ბოსტონთან“ მხოლოდ 18 წუთი ითამაშა, მაგრამ შეცვლაზე შემოსულმა მოედანზე მძლავრი მუხტი შეიტანა და ბოლო მეოთხედში ბევრი რამ პირადად გადაწყვიტა.

ახლაც, „მინესოტასთან“ გასვლით მატჩში, ვუდსონმა ფაჩულია კვლავ სათადარიგოთა სკამზე დასვა და თამაში მეორე ცენტრ ლორენცენ რაიტს დააწყებინა, რომელმაც 26 წუთში 6 ქულა დააგროვა. ზაზა კი კვლავ კარგად ჩაერთო თამაშში და 19 წუთში რაიტზე ორჯერ მეტი გააკეთა.

მაგრამ ბოლო მეოთხედამდე და იქ თავის გამოჩენამდე საქმე აღარ მისულა. ატლანტელები ძნელ თამაშს ელოდნენ, მაგრამ მოულოდნელად ძალზე იოლად დაჩაგრეს მინესოტელი „მგლები“ და პირველი ტაიმის 11 ქულით მოგების შემდეგ მესამე მეოთხედში 18-ით დაწინაურებულებმა ადრეულად დაიბევეს გამარჯვება.

ზაზა ფაჩულიამ ჯოშ სმიტსა და შელდენ უილიამსთან ერთად თამაშიდან პრაქტიკულად სრულად გამოთიშა „მინესოტას“ ლიდერი და ნბა-ს ერთ-ერთი უძლიერესი მეფარე კევინ გარნეტი, რომელმაც პირველ ტაიმში საწყისი 7 სროლა ააცილა და იმასლა ცდილობდა, რომ პირადი მონაგარი 10 ქულამდე მაინც შეეკოწიწებინა. გარნეტმა შეძლო და შეასრულა პროგრამა მინიმუმი. მან ზედიზედ 359-ე თამაშში ჩაგდო 10 ქულაზე მეტი. ამ მხრივ ის ნბა-ს ისტორიაში მერვეა.

„ატლანტასთვის“ კი ეს გამარჯვება ზედიზედ მესამე გახლდათ.

კევინ გარნეტის და მისი „მინესოტას“ მინეაპოლისში დამარცხება მოულოდნელობა კი გახლდათ, მაგრამ არა ისეთი ხმაურიანი, რომ საკალათბურთო ამერიკას თვალ-ყური იქით მიებრუნებინა, რაკიღა „მინესოტა“ ამ ბოლო წლებში საკმარისზე მეტს აგებს. 17 იანვარს ხალხი დეტროიტისკენ უფრო იმზირებოდა, იქ ხომ ვეტერან ვარსკვლავ კრის ვებერის დებიუტი უნდა შემდგარიყო „დეტროიტ პისტონზში“. კი შედგა, მაგრამ ვაი ასეთ დებიუტს! 4-გზის ოლსტარელმა (ტრავმები რომ არა, სულ ცოტა, 8-გზის იქნებოდა) ვებერმა „იუტასთან“ დაძაბულ შეხვედრაში 16 წუთში მხოლოდ 2 ქულა და 5 მოხსნა გააკეთა და 22 ათას მაყურებელს — რომელთა შორის ბევრი მისი პირადი ახლობელი და მეგობარი ერია — იმედები გაუცრუა. ვებერმა და „დეტროიტის“ კიდევ ერთმა ვეტერანმა მეფარემ რაშიდ ვოლესმა პრაქტიკულად ვერაფერი გააწყეს „იუტას“ შედარებით ახალგაზრდა ოპონენტებთან კარლოს ბუზერსა და მეჰმედ ოქურთან.



კრის ვებერმა „დეტროიტში“ დებიუტი ჩააფლავა

კრიზისია 1999, 2003 და 2005 წლების ჩემპიონ „სან ანტონიოში“. ტიმ დანკანმა და კომპანიამ ბოლო 10 თამაშში მეხუთე მარცხი იწვნია და გვარიანადაც შეირყია პოზიციები. „სფურზმა“ დივიზიონში პირველობისთვის ბრძოლა, ვინ იცის, საბოლოოდ დათმო თანაშტატელ „დალასთან“ და ვინ იცის, დასავლეთ კონფერენციაში მესამე ადგილიც ვერ შეინარჩუნოს. წლეულს მისი მეორედ მძლეველი „ლეიკერსი“ და „იუტა“ უკვე კუდზე აზიან გრეგ პოპოვიჩის გუნდს.

**კოტე ყორშია**

# მეომრები მოჭკვიანდნენ



სტივენ ჯეკსონი



ალ ჰარინგტონი



შარუნას იასიკევიჩუსი

**თანამედროვეობის** ერთ-ერთ ყველაზე უიღბლო კლუბ „გოლდენ სტეიტ ვორიორზზე“ მთელი ამერიკა იცინის. „მეომრები“ კი ჰქვიათ და ბინადაც საოცარი ადგილი, სან ფრანცისკოს გარეუბანი აქვთ, მაგრამ იმდენად უშნოები არიან, ყველა მათ ატყუებს. ვინ მოთვლის, ბოლო 10-15 წელიწადში რამდენი კარგი მოთამაშე დაკარგეს და რამდენჯერ მოტყუვდნენ გაცვლებში.

„გოლდენ სტეიტმა“ გუშინწინაც მოახდინა ერთი გაცვლა, ოღონდ ამ ჯერზე საკმაოდ წარმატებული. კლუბის ყოფილმა მოთამაშემ, ახლა კი გენერალურმა მენეჯერმა კრის მულინმა „ინდიანასთან“ 8-კაციანი გაცვლა მოაწყო, მაღალხელფასიანი სათადარიგოების — ტროი მერფის, მაიკ დანლივისა და ორი ღრმა სამარქაფოს — იკე დიოგუსა და კიტ მაკლოდის ნაცვლად „ინდიანადან“ სამი კარგი და ერთიც ისე რა მოთამაშე გადაიყვანა — ალ ჰარინგტონი, სტივენ ჯეკსონი, შარუნას იასიკევიჩუსი და ჯოშ პაუელი. ამ უკანასკნელზე ბევრს ვერას მოგახსენებთ, პირველი სამეული კი სერიოზული შენაძენია „გოლდენ სტეიტისთვის“. ჰარინგტონი „ინდიანაში“ საშუალოდ 15 ქულას და 6 მოხსნას იხვეჭდა და ორივე კომპონენტში მხოლოდ გუნდის ლიდერ ჯერმენ ონილს ჩამორჩებოდა. ეს სწორედ ის ჰარინგტონია, წინა სეზონში ზაზა ფაჩულიასთან ერთად რომ ამაგრებდა „ატლანტას“ ფარს.

საშუალოდ 14 ქულის მხვეჭავი ჯეკსონიც კარგი მოთამაშეა, მაგრამ ორი წლის წინ დეტროიტში გახმაურებული ჩხუბის შემდეგ მას ერთთავად პრობლემები აქვს — სეზონის დაწყებამდე სტრიპტიზ-ბარში იჩხუბა, მერე კი მწვრთნელ რიკ კარლაილთან ჰქონდა უთანხმოება. ახალ გუნდში თუ მარტო თამაშზე იფიქრა, დიდად ასარგებლებს „მეომრებს“. დიდი ძალაა შარუნის იასიკევიჩუსიც. ლიტველი გამთამაშებელი „ინდიანას“ ძალისმიერი თამაშის სტილს ვერ შეეწყო, „ვორიორზის“ შემტევ სქემაში კი ლაღად გაშლის ფრთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ეს წელი შავი იქნება

## ტანა უმაგა: ჩემი ქართველი კაპიტანი განსაკუთრებული ადამიანია

**ბაჩო სვანიძე**

„ვერასდროს წარმოვიდგენდი, ასეთი ვარსკლავების გვერდით თუ ვითამაშებდი. ვარსკლავები კი არა, ლეგენდები არიან. ხანდახან უხერხულობასაც კი ვგრძნობ, მოედანზე ერთად რომ ვართ, მე კი ზოგჯერ მათი კაპიტანი ვარ“ — ეს სიტყვები საქართველოს ნაკრების უგამოცდილეს უნივერსალ გია ლაბაძეს ეკუთვნის, რომელიც ახლა საფრანგეთის რანგით მეორე დივიზიონში, ელიტ 2-ში სახელიან კლუბ „ტულონში“ თამაშობს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: მეორე დივიზიონში ლაბაძის მხარდამხარ თამაშობენ... ახალზელანდიელი ლეგენდა ტანა უმაგა და 2003 წლის მსოფლიოს თასის მომგები ინგლისელი ვარსკვლავი დენ ლუგერი. აღარაფერს ვამბობთ საფრანგეთის ნაკრების მორკინალეებზე ჟან-ჟან კრენკასა და ჟან-ბატის რუზე და 1999 წლის მსოფლიოს თასის საუკეთესო ბომბარდირზე, არგენტინელ გონსალო კესადაზე.

თანამედროვე რაგბის უკოლორიტულეს ფიგურასთან, ტანა უმაგასთან ინტერვიუს შეთანხმება და იქნება-არ იქნება არ დასჭირვებია — გია ლაბაძის ერთი თხოვნაც საკმარისი აღმოჩნდა.

იმის ახსნა, ვინ არის ტანა უმაგა თანამედროვე რაგბიში, იგივეა, ზინედინ ზიდანის საფეხბურთო სიდიდესა და მნიშვნელობაზე რომ ვილაპარაკოთ. ახალზელანდიელთა დალალებიანი კაპიტანყოფილი, 33 წლის ლეგენდა ტანა უმაგა სამხრეთ ნახევარსფეროდან ევროპაში შარშან, სექტემბერში გადმობარგდა. ტანას აქამდეც იმდენი მილიონებიანი ევროკონტრაქტი ედო წინ, რომ სათვალავი თვითონაც აერია, მაგრამ შარშანდლამდე ეს ვერ მოხერხდა, რაკი ახალზელანდიური რაგაის წესებით, გინდ ღმერთი იყავ, გინდ ტანა უმაგა, თუ ლეგიონერი ხარ, ნაკრებს არ გაგაკარებენ. უმაგამ 2005 წლის ბოლოს მიანება ნაკრებს თავი, რომელშიც 1997 წლიდან თამაშობდა და ამ ხნის მანძილზე 79 სანაკრებო მატჩში 21-ჯერ უკაპიტნა ლეგენდარულ „ოლ ბლექსს“ და 36 ლელოც გაიტანა. ერთიცაა, ტანას ევროკარიერამ მხოლოდ ორ თვეს გასტანა: როდესაც ლაბაძის თხოვნით ჩვენთან ინტერვიუს დათანხმდა, უკვე სამშობლოში დასაბრუნებლად და ჩვენი ზარის საპასუხოდ იყო გამზადებული...

გა-მა-რჯობა — მოულოდნელად დაიწყო უმაგამ, როდესაც საფრანგეთში დავუკავშირდით და იქვე ინგლისურად განაგრძო...

— გისმენთ, გიამ მითხრა, რომ უნდა დაგერეკათ და ქართულად მისალმებაც მასწავლა.

**— სხვა ქართული სიტყვებიც იცით?**

— არა, ამაზეც ბევრი ვიწვალე. ცოტა ფრანგულის სწავლაც მოვასწარი, ინგლისურად ლაპარაკი კი, მგონი, კარგად გამომდის. ისე, სახლში უფრო განათლებული ვბრუნდები. ვხუმრობ, რა თქმა უნდა.

**— რატომ გადაწყვიტეთ ისევ ახალ ზელანდიაში დაბრუნება, ევროპულ რაგბის და საფრანგეთს ვერ შეეწყვეთ?**

— არა, ეს არ არის მიზეზი. მართალია, კონტრაქტით შემიძლია, სეზონის ბოლომდე დავრჩე, მაგრამ გული მაინც სახლისკენ და მშობლიურ კლუბ „ჰარიკანზისკენ“ მიმიწევს. საფრანგეთში გატარებულმა ნახევარმა სეზონმა ძალიან ბევრი მომცა. ყოველთვის მინდოდა, უცხო ქვეყანასა და ჩემპიონატში მეცადა ძალა. მგონი, კარგად გამომივიდა, „ტულონი“ თუ უპირველეს ელიტაში დაბრუნდება, ჩემი წვლილიც იქნება...

**— ევროპაში აქამდეც ბევრჯერ შეგეძლოთ თამაში, მაგრამ ადრე თავს იკავებდით...**

— მხოლოდ იმის გამო, რომ ნაკრებში თამაში მინდოდა. ლეგიონერი კი ამას ვერ მოვახერხებდი. თანაც „ჰარიკანზი“ ჩემთვის სახლივითაა. მაინც ვერ გავძელი და უკან ვბრუნდები. აქ დიდებული დღეები გავატარე, „ტულონთან“ ნახევარსეზონიანი კონტრაქტი კი საკმაოდ სარფიანი იყო. თანაც, ნუ გაიკვირვებთ და, ჩემი ასაკის კაცმა კიდევ უფრო მეტი გამოცდილება მივიღე. საფრანგეთში დარჩენაზე უარს არ ვიტყოდი, მაგრამ სახლი მენატრება.

**— კარიერას ისევ „ჰარიკანზში“ გააგრძელებთ?**

— სხვაგან არსად წამსვლელი არ ვარ. ძალიან მინდა, ზე-14 „ჰარიკანზთან“ ერთად მოვიგო.

**— ნაკრებში დაბრუნებაზეც ხომ არ ფიქრობთ?**

— არა მგონია, ასე მოხდეს... ისე, ერთი ოცნება აუსრულებელი დამრჩა. არ მინდოდა, რაგბიდან ისე წავსულიყავი, მსოფლიოს თასი არ მომეგო. არადა, წლეულს ახალ ზელანდიას ისეთი შანსი აქვს, აქამდე არ გვქონია. მსოფლიოს თასის მოგებამდე სულ ერთი ნაბიჯი გვაკლდებოდა. ნახევარფინალამდე გრიალით მივდიოდით, იქ კი რაღაც გვემართებოდა და ალოგიკურად ვაგებდით.

**— თქვენი აზრით, რა იყო ის რაღაც, რაც ფინალში გასასვლელად გაკლდათ?**

— პრაგმატიზმი! ახალი ზელანდია ყოველთვის სანახაობრივ და გახსნილ რაგბის თამაშობს. ეს ნახევარფინალამდე გვყოფნიდა, მაგრამ იქ მეტოქე ჩაკეტილი ტაქტიკით გვეთამაშებოდა და ამით გვჯობდა. ასე დაგვემართა 1999 წლის მსოფლიოს თასის ნახევარფინალში საფრანგეთთან და 2003 წელს ავსტრალიასთან. ავსტრალია პრაგმატულად გვეთამაშა, ჩვენ კი ისევ სანახაობრივ რაგბის გადავყევით...

იმედია, წლეულს ასე აღარ მოხდება და „ოლ ბლექსი“ ბოლოს და ბოლოს გახდება მსოფლიოს ჩემპიონი. თანაც ახლა შეიძლება ითქვას, რომ „ოლ ბლექსი“ იგივე „დრიმ თიმია“.

**— ახალზელანდიური რაგბის ისტორიაში ვინ მიგაჩნიათ საუკეთესო მორაგბედ?**

— ასე თქმა ძნელია... ახალ ზელანდიაში საუკეთესოს კი არა, უამრავი ლეგენდის გამორჩევა შეიძლება. ამ კითხვაზე პასუხისგან თავს შევიკავებ. ბოლო წლებში კი ჯონა ლომუ მთლიანად მსოფლიოს რაგბში იყო მოვლენა. საწყენია, რომ მანაც ისე დაასრულა კარიერა, მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდა.

**— თქვენი თავი დაგავიწყდათ?**

— ჩემზე სხვებმა უნდა ილაპარაკონ...

**— ახლა ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ?**

— მე ასე ვიტყვი — მთლიანად დღევანდელი „ოლ ბლექსია“ საუკეთესო.

**— და ბოლოს: სანამ გია ლაბაძესთან ერთად „ტულონში“ ითამაშებდით, საქართველოზე თუ გსმენოდათ რამე?**

— სიმართლე გითხრათ, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ქართველებმა წინა მსოფლიოს თასზე ითამაშეს, ახლა კი გაცილებით მეტი ვიცი. რაც შეეხება გიას, ის განსაკუთრებული ადამიანია, მხიარული და მეგობრული პიროვნება. „ტულონში“ საკმაო ავტორიტეტი აქვს, გუნდის ვიცე-კაპიტანია და თუ ჩვენი კაპიტანი კრენკა არ თამაშობდა, მოედანზე ლიდერი სწორედ გია იყო. მე კი არასდროს მეხამუშებოდა მისი კაპიტნობით თამაში.



ტანა უმაგა ტულონიდან კაპიტანმა კრენკამ და ვიცე-კაპიტანმა გია ლაბაძემ გააცილეს

AFP

ავსტრალიის ღია პირველობა 2007. მელბურნი. 15-28 იანვარი. საპრიზო 20 000 000 $

18 იანვარი

**კაცები**

**მეორე წრე**

**დავიდ ნალბანდიანი** (8, არგენტინა) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:4 6:4 6:4; **სებასტიან გროჟანი** (28, საფრანგეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 4:6 6:1 6:3 4:6 6:4; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — ანდრეას სეპი (იტალია) 5:7 7:5 6:2 6:2; **ტომი ჰაასი** (12, გერმანია) — ილია ბოზოლიაჩი (სერბეთი) 7:6 6:1 6:3; **ტომაშ ბერდიხი** (13, ჩეხეთი) — რობერტ სმიტსი (ავსტრალია) 6:3 6:2 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი** (21, რუსეთი) — მაქს მირნი (ბელორუსია) 6:2 6:3 7:6; **ფაბრის სანტორო** (28, საფრანგეთი) — არნო კლემანი (28, საფრანგეთი) 6:2 6:4 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (3, რუსეთი) — ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) — 6:4 6:0 6:3; **ჯეიმს ბლეიკი** (5, აშშ) — ალექს კუზნეცოვი (აშშ) 6:4 6:1 6:2; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — მიშა ზვერევი (გერმანია) 6:4 7:5 6:1; **ლეიტონ ჰიუიტი** (19, ავსტრალია) — ფრანკ დანსევიჩი (კანადა) 6:4 6:4 3:6 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (10, ჩილე) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 7:6 4:6 6:7 6:4 4:0 *(უარი)*; **ენდი მიურეი** (15, ბრიტანეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 7:6 7:5 6:4; **ხუან-იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — იარკო ნიემინენი (17, ფინეთი) 6:3 2:6 6:4 6:4; **სტანისლას ვავრინკა** (31, შვეიცარია) — პოლ კაპდევილია (ჩილე) 6:4 6:3 6:2; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 7:5 6:3 4:6 6:2

**ქალები**

**მეორე წრე**

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 6:0 6:3; **ტატიანა გარბინი** (31, საფრანგეთი) — რენატა ვორაცოვა (ჩეხეთი) 6:1 7:5; **ვერა ზვონარიოვა** (22, რუსეთი) — ტამირა პაშეკი (ავსტრია) 6:1 6:3; **ანა ივანოვიჩი** (13, სერბეთი) — აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) 6:2 3:6 6:2; **ანა ჩაკვეტაძე** (12, რუსეთი) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:2 5:7 6:1; **ელენა კოსტანიჩი-ტოსიჩი** (ხორვატია) — სამანტა სტოსური (24, ავსტრალია) 6:4 2:6 6:2; **ალისია მოლიკი** (ავსტრალია) — კაია კანეპი (ესტონეთი) 1:6 6:3 6:2; **პატი შნიდერი** (8, შვეიცარია) — შუაი პენგი (ჩინეთი) 7:5 6:3; **კიმ კლაისტერსი** (4, ბელგია) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 6:3 6:0; **ალონა ბონდარენკო** (29, უკრაინა) — ვირჟინია რაზანო (საფრანგეთი) 6:3 6:4; **ეშლი ჰარკლროუდი** (აშშ) — ანა-ლენა გრონეფელდი (18, გერმანია) 6:2 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა** (15, სლოვაკეთი) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 4:6 6:3 6:4; **დინარა საფინა** (9, რუსეთი) — იულია ფედოსოვა (საფრანგეთი) 6:3 6:2; **ნა ლი** (19, ჩინეთი) — ლურდეს დომინგეს ლინო (ესპანეთი) 6:0 6:2; **აიკო ნაკამურა** (იაპონია) — სანია მირზა (ინდოეთი) 6:3 6:2; **მარტინა ჰინგისი** (6, შვეიცარია) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 6:1 6:2

# სიცხე, წვიმა და ჩიტები

## დავიდენკომ საჰაერო იერიშებსაც გაუძლო



მარტინა ჰინგისი

AFP მელბურნიდან

**წლევანდელ** ავსტრალიის ღია პირველობაზე ყოველდღიურად არ ილევა მიზეზები, რომელთა გამოც თამაშები ხან ფერხდება, ხან კიდევ სულაც წყდება ხოლმე. მოგეხსენებათ, მელბურნში ჯერ ისეთი სიცხეები დაიჭირა, რომ ორგანიზატორებმა ჩოგბურთელები კორტებზე არ გაუშვეს, ხოლო ვისაც არ გაუმართლა და მატჩი დაწყებული ჰქონდა, კინაღამ მზის დარტყმა მიიღო. ამის მაგალითად მარია შარაპოვაც კმარა, რომელსაც კიდევ ცოტა და კორტზე გული წაუვიდოდა. შემდეგ ეს პაპანაქება სიცხე მოულოდნელმა წვიმამ შეცვალა. გუშინ კი ახალი პრობლემა გამოჩნდა... ფრინველების სახით, რომლებმაც ნამდვილი იერიში მიიტანეს როდ ლეივერის სახელობის ცენტრალურ კორტზე და 10 წუთით შეაფერხეს ნიკოლაი დავიდენკოსა და ჟილ მიულერის მატჩი. ეს ისეთი შემთხვევა იყო, როცა ყველა, ჩოგბურთელებიდან დაწყებული გულშემატკივრებით დამთავრებული, ერთი ანეკდოტისა არ იყოს, ფიქრობდა — კიდევ კარგი, ძროხები არ დაფრინავენო.

საკუთრივ ამ შეხვედრაში კი დავიდენკოს უპირატესობა ამ იძულებით პაუზამდეც და მას შემდეგაც ძალიან დიდი იყო. შედეგად რუსმა იოლი გამარჯვება მოიპოვა და მესამე წრესაც უპრობლემოდ უწია.

უწვალებლად გასცდნენ ამ ეტაპს დანარჩენი ფავორიტებიც. განსაკუთრებით ჯეიმს ბლეიკის ძალიან დამაჯერებელი თამაშია გამოსაყოფი — შავტუხა იანკი ზედიზედ მეორე შეხვედრაა ამტკიცებს, რომ ფანტასტიკურ ფორმაში იმყოფება და წლეულს მელბურნში უმაღლეს მიზნებს წაეპოტინება.

ოდნავ გაუჭირდა რაფაელ ნადალს, რომელსაც ფილიპ კოლშრაიბერი ღირსეულად ეომა. გერმანელმა მსოფლიოს ნომერ მეორე ჩოგნის მქნეველს ყველა სეტში გაუმართა ბრძოლა და ერთი პარტიაც აართვა — ისე, აქ ესპანელ ვარსკვლავბიჭუნას რაღაც დაემართა და მეტოქეს სამი ბრეიკის გაკეთების საშუალება მისცა. თუმც მალიორკელმა მალევე გამოასწორა მდგომარეობა და სტანისლას ვავრინკასთან რანდევუც გაინაღდა.

სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებენ ახალგაზრდები — ენდი მიურეი და ტომაშ ბერდიხი წინ სეტწაუგებლად მიიწევენ. განსაკუთრებით ჩეხის ჩაუქობაა აღსანიშნავი, რომელსაც ჯერ ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ უწევენ. აი, მიურეის კი გუშინ ცოტათი გაუჭირდა ფერნანდო ვერდასკოსთან და ესპანელს მეტი ფხა რომ ჰქონოდა, ევებ სეტისთვისაც გამოეკრა ხელი.

გუშინ მასპინძლებიც ხარობდნენ, რადგანაც ლეიტონ ჰიუიტმა მოიგო და თან თავის პირველ მატჩთან შედარებით, გაცილებით უკეთესად ითამაშა. მართალია, ოზმა აქაც დათმო ერთი პარტია, მაგრამ მთლიანობაში აკონტროლებდა სიტუაციას და ამიტომ პირთამდე სავსე ტრიბუნებიც ფრიად ასიამოვნა.

საღამოს, ესე იგი, შედარებით სიგრილეში მოუწია თამაში მარია შარაპოვასა და რუსიც დიდებულად გაისარჯა. მაშამ თანამემამულე ანასტასია როდიონოვას მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო და პირწმინდად გააქარწყლა მის სათამაშო ფორმასთან დაკავშირებით გაჩენილი ეჭვები.

კიდევ უფრო დიდებულად გამოიყურება კიმ კლაისტერსი, რომელმაც მორიგი უღიმღამო შეხვედრა ჩაატარა და ამჯერად უკვე აკიკო მორიგამის გადაუარა. ფუმფულა ბელგიელს არც მარტინა ჰინგისი ჩამორჩა — შვეიცარიელმაც მეორედ მოიწყო გასეირნება მელბურნის კორტებზე.

„კმაყოფილი ვარ ჩემი თამაშით, მაგრამ მომატება შემიძლია“ — ოპტიმისტურად არის განწყობილი ჰინგისი, რომელსაც ახლა აიკო ნაკამურას ბარიერის დაძლევა მოუწევს. ექს-პირველი ჩოგანი იაპონელსაც თუ გასცდა, მეოთხედფინალში სავარაუდოდ სწორედ კლაისტერსს დაეჯახება.

დღის მთავარი მოულოდნელობა კი მეთვრამეტე ნომრად განთესილი ანა-ლენა გრონეფელდის მარცხი იყო. ეს გერმანელი ციდან ვარსკვლავებს შეიძლება არ წყვეტდეს, მაგრამ მისი ეშლი ჰარკლროუდისგან ძლევა მაინც საკვირველია.

**კახა ლომჯაშვილი**






# ბოლო ცდის ჩხუბი

## რე-მატჩი 14 წლის შემდეგ

**მატჩ-რევანში** ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონ საშუალო წონაში ბერნარდ ჰოპკინსსა და ოთხ სხვადასხვა წონაში ექსჩემპიონ როი ჯონს-უმცროსს შორის ალბათ მაინც შედგება. ამ საქმეს უკვე ბევრი აღარაფერი უკლია — მხარეებს შორის, ყველა პირობა შეთანხმებული ყოფილა და ახლა კონტრაქტს მხოლოდ ჯონსის ხელის მოწერაღა აკლია. პრომოუტერული კომპანია „გოლდენ ბოი პრომოუშენის“ სხვათა შორის ოსკარ დე ლა ჰოიას კომპანიაა! წარმომადგენელი უახლოეს დღეებში შეხვდება ჯონსს და ალბათ იქ ყველაფერი გაირკვევა.

ეს ჩხუბი ორივე მოკრივისთვის ძველი დიდების დაბრუნებისა და კარიერის გაგრძელების, ალბათ ბოლო მცდელობა იქნება.

„ჯალათად“ წოდებულმა ჰოპკინსმა გასულ წელს ანტონიო ტარვერი კი დაამარცხა, მაგრამ ბევრი სპეციალისტი იმ მოგებას დიდად არ უფასებს — ტარვერი იმ დროს ფილმ „როკი VI“-ის გადაღებებში მონაწილეობდა და ამიტომაც ბრძოლისთვის კარგად ვერ მოემზადაო. ასე რომ, „ჯალათმა“ ყველას უნდა დაუმტკიცოს, რომ ძველებურად შეუძლია მუშტების ქნევა.

დასამტკიცებელი კიდევ უფრო მეტი აქვს როი ჯონსს, რომელიც ერთი ხანობა სულაც წავიდა კრივიდან. სხვათა შორის, ჯონსის კარიერა იმავე ტარვერთან ორჯერ დამარცხების შემდეგ აღმოჩნდა კითხვის ნიშნის ქვეშ. თუმც შარშან ერთ დროს ოთხი ქამრის მფლობელმა ამერიკელმა რინგზე დაბრუნება გადაწყვიტა და მეტოქედ ჰოპკინსი აირჩია.

თავად ეს ბრძოლა კი 14 წლის წინანდელი შეხვედრის რევანში იქნება, როცა მოკრივეები საშუალო წონაში ვაკანტური IBF-ის საჩემპიონო ქამრისთვის იბრძოდნენ — მაშინ ეს ორივესთვის პირველი სატიტულო ბრძოლა იყო, რომელშიც როი ჯონსმა მსაჯთა ერთხმოვანი გადაწყვეტილებით გაიმარჯვა.

მოკლედ, ახლა ყველაფერი ჯონსზეა დამოკიდებული, რადგანაც კონტრაქტს უკვე ადევს „ჯალათის“ ხელმოწერა და ბოლო ორიოდე თვის განმავლობაში რომ რინგზე დაბრუნება თუ არ გადაიფიქრა, ეს ბრძოლა უეჭველად შედგება.

**კახა ლომჯაშვილი**

# დიდებული ხალხი



არანჩა სანჩეს-ვიკარიო

**უკვე** დაასახელეს იმათი ვინაობა, ვისაც ამა წლის 14 ივლისს ჩოგბურთის დიდების დარბაზში შეიყვანენ — ეს პატივი პიტ სამპრასსა და არანჩა სანჩეს-ვიკარიოს ერგოთ.

კარიერაში 64 ტიტულის მომგები სამპრასი დიდების დარბაზში თავის ადგილს რომ დაიკავებდა, კარგა ხნის წინათ იყო ცნობილი. ამერიკელი ხომ ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელად არის შერაცხული — მის ანგარიშზე 14 სლემტურნირია (7 უიმბლდონი, 5 აშშ-სა და 2 ავსტრალიის ღია ჩემპიონატები). გარდა ამისა, პიტს კაცთა ჩოგბურთისთვის რეკორდული, 286 კვირა აქვს გატარებული რეიტინგის სათავეში.

მართალია, სანჩეს-ვიკარიო სამპრასს ვერ შეედრება, მაგრამ ისიც საკმოდ ტიტულიანი ჩოგბურთელი იყო — ესპანელს სამი „როლან გაროსი“ და ერთი აშშ-ს ღია პირველობა აქვს მოგებული. პლუს არანტას კოლექციაში კიდევ ექვსი მოგებული სლემტურნირია წყვილთა და 4 შერეულ წყვილთა შორის. სანჩეს-ვიკარიო 1995 წელს როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა რეიტინგს ლიდერობდა.



პიტ სამპრასი

დიდების დარბაზში ასევე შევლენ 1957 წლეს „როლან გაროსის“ ჩემპიონი შვედი სვენ დავიდსონი და ფოტოგრაფი რას ადამსი, ჩოგბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

**კახა ლომჯაშვილი**

# ლადო და პირველი ნომერი

**ლადო ჩიხლაძემ** მოგებით დაიწყო ავსტრიული ზალცბურგის ჭერქვეშა ხალიჩაზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე ტურნირი. საქართველოს სადევისთასო ნაკრების მეორე ნომერი ძირითად ბადეში რეიტინგით მოხვდა და პირველ წრეში კორტის მასპინძელს ანდრეას ჰაიდერ-მაურერს ორ სეტში — 7:6 6:2 გაუსწორდა.

მეორე წრეში ლადოს გაცილებით ძლიერი მეტოქე შეხვდა ზალცბურგში პირველ ნომრად განთესილი ჩეხის იან ვაცეკის სახით. 30 წლის ჩეხი ATP-ის მიმდინარე რეიტინგში 299-ე ადგილზეა, მაგრამ იყო დრო, პირველი ასეულის კაცად ითვლებოდა. კარიერის უმაღლეს — 61-ე პოზიციაზე კი 2002 წლის აგვისტოში იმყოფებოდა.

ხელბურთი

ევროპის VIII ჩემპიონატი. კაცები. შესარჩევი ტურნირი. მესამე ჯგუფი

დღეს. თბილისი. სპორტის სასახლე. 15.30 სთ

# საქართველო — ბულგარეთი

# უიმედოთა იმედის მატჩი

**დღეს** საპლეიოფო შანსდაკარგული საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრები ჩვენსავით უქულო ბულგარეთს მასპინძლობს. ამდენად აუტსაიდერთა ორრაუნდიან დაპირისპირებას ოდენ საპრესტიჟო მნიშვნელობა აქვს.

ისე, თბილისის სპორტის სასახლეში თამაში შეიძლება, არც შემდგარიყო სასაზღვრო გაუგებრობის მიზეზით. მოგეხსენებათ, ბულგარეთი ევროკავშირის წევრი გახდა და იფიქრეს, კონტინენტის ნებისმიერ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში შესასვლელად ვიზა აღარ გვჭირდებაო.

ერთი სიტყვით, ვენიდან ნორმალურად ჩამოფრენილი ბულგარელთა თითქმის ოცკაციანი დელეგაცია თბილისის აეროპორტში ორი საათი აყურყუტეს, ვიზის საფასური უნდა გადაიხადოთო. ელდანაცემ სტუმრებს საჭირო თანხა არ აღმოაჩნდათ და მათ „დასახსნელად“ 1200 ლარი საქართველოს ხელბურთის ეროვნულმა ასოციაციამ გაიღო.

შესარჩევი ციკლი მთავრდება და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ამჯერად საქართველოს ნაკრებს ფინანსური პრობლემა არ შექმნია. ლატვია — რუმინეთ — ბულგარეთში ვოიაჟისა და სტუმართა თბილისში დაზვედრისთვის სოლიდური თანხა, თითქმის ორასი ათასი ლარი საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა გამოყო, აგრეთვე ათი ათასი დოლარით დაეხმარა გუნდს ცნობილი ბიზნესმენი, ყოფილი ხელბურთელი თემურ უგულავა.

ჩვენი ბიჭები შეკრებაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პატარა, მყუდრო სასტუმროში არიან და ძირითადად იქვე, სტუ-ს დარბაზში ვარჯიშობენ. თამაშების წინ კი ბუნებრივია, სპორტის სასახლის ვევება სარბიელზე შლიან ხელს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მერაბ მეტრეველმა ბულგარელებთან თამაშების წინ „ხელბურთის კლუბ თბილისის“ ხაზელი დავით ფორაქიშვილი მიიწვია გასინჯვაზე.

არაა გამორიცხული, დათომ დღეს ითამაშოს, თუმც შემადგენლობის საკითხი მატჩის წინ გადაწყდება.

საერთო განწყობა იმგვარია, რომ ჩვენი დონის ბულგარელებს მაინც უნდა ვძლიოთ. წინა ევროშესარჩევ ციკლში მათ ორი მატჩი მოიგეს, ოთხჯერ დამარცხდნენ და ბუნებრივია, პლეი ოფის საგზური ვერ მოიპოვეს. საყურადღებო ფაქტია, რომ ჩვენს დღევანდელ მეტოქეებს შემადგენლობაში ჰყავთ სუპერმეგოლე ვესელინ ჩაკამაკოვი, რომელმაც ლატვიელებს 13 გოლი(!) გაუტანა, ხოლო რუმინელებთან ექვსჯერ იყოჩაღა. შედეგიანობით გამოირჩა ნიკოლაი ბოევიც — 11 (3+8).

კარგია, რომ ამჯერად მაინც, საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელობას ხელთ აქვს მეტოქის თამაშის, კერძოდ, ბულგარეთ — რუმინეთის ვიდეოფირი.

**გია ახალაძე**

17 იანვარი

**ლატვია 26:30 რუმინეთი**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 5 | 0 | 0 | 162:122 | 10 |
| ლატვია | 4 | 0 | 1 | 156:126 | 8 |
| ბულგარეთი | 0 | 0 | 4 | 95:128 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 4 | 97:134 | 0 |

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

17 იანვარი

**ბუფალო 6:3 ბოსტონი**

*3:2 0:0 3:1*

0:1 კესელი (11), 1:1 ვანეკი (13), 2:1 პაი (15), 2:2 მიურეი (19), 3:2 როი (20), 3:3 კესელი (41), 4:3 კემპბელი (51), 5:3 აფინოგენოვი (55), 6:3 პაი (60)

**დალასი 4:2 კაროლინა**

*1:1 2:0 1:1*

1:0 ლეპტინენი (4), 1:1 ჰუსელიუსი (15), 2:1 ლუნდკვისტი (27), 3:1 ბარნსი (29), 3:2 იელი (52), 4:2 ლეპტინენი (52)

**დეტროიტი 5:3 ნეშვილი**

*1:2 4:1 0:0*

0:1 ზენონი (7), 1:1 ზეტერბერგი (8), 1:2 ტუტუ (15), 2:2 ზეტერბერგი (22), 2:3 პამხუისი (23), 3:3 ლიდსტრომი (33), 4:3 გუდლერი (35), 5:3 ჰოლმსტრონი (39)

**კოლორადო 4:3 ფინიქსი**

*1:0 2:1 1:2*

1:0 შჩასტნი (8), 1:1 ლარაკი (25), 2:1 ფეიდუკი (31), 3:1 ბრიუნე (40), 4:1 შჩასტნი (48), 4:2 ზიგომანისი (54), 4:3 დოუნი (55)




დალასელმა ჯოელ ლუნდკვისტმა კალგარელ მიკა კიპრუსოფს გაუტანა

ბიატლონი

## მსოფლიოს თასი. მეექვსე ეტაპი

ჰოკლიუკა (სლოვენია). 17-21 იანვარი

### ქალები

**სპრინტი. 7,5 კმ (2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 2 სთ.45,2 წმ. (1 აცდენა) |
| 2. ტატიანა მოისეევა (რუსეთი) | +6,8 წმ. (0) |
| 3. კატი ვილჰელმი (გერმანია) | +17,4 (1) |
| 4. ფლორინ.ბევერელ-რობერი (საფრანგეთი) | +26,5 (0) |
| 5. ნატალია სოკოლოვა (ბელორუსია) | +26,9 (0) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 432 ქულა |
| 2. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 410 |
| 3. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | 379 |
| 4. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 371 |
| 5. სანდრინ ბეილი (საფრანგეთი) | 305 |

### კაცები

**სპრინტი. 10კმ (2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. ალექსანდერ ვოლფი (გერმანია) | 22 წთ.41,4 წმ. (0 აცდენა) |
| 2. ბიორნ ფერი (შვედეთი) | +6,6 (0) |
| 3. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია) | +8,7 (1) |
| 4. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი) | +12,5 (1) |
| 5. ზდენეკ ვიტეკი (ჩეხეთი) | +33,1 (0) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 388 ქულა |
| 2. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 349 |
| 3.ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 330 |
| 4. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 307 |
| 5. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია) | 289 |

სნოუბორდი

## მსოფლიოს ჩემპიონატი

აროსა (შვეიცარია). 14-20 იანვარი

**პარალელური სლალომი**

**ქალები** 1. ჰეიდი ნოირურერი (ავსტრია); 2. მარიონ კრაინერი (ავსტრია); 3. დორესია კრინგსი (ავსტრია)

**კაცები** 1. სიმონ შოხი (შვეიცარია); 2. ფილიპ შოხი (შვეიცარია); 3. როკ ფლანდერი (სლოვენია)

ჭიდაობა

# ჭიდაობა აჭარული

## ბათუმში დარბაზი და სეზონი იხსნება

**დღეს** ბათუმში 2007 წლის საჭიდაო სეზონი იხსნება. ახალთახალი, ევროსტანდარტების დონის დარბაზი ოთხი დღის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ხალიჩაზე ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი ფალავანი გავა. შიდა კონკურენციაში გამარჯვებულებითა და მეორე-მესამე ადგილზე გასულებით კი საქართველოს სამომავალსეზონო ნაკრები დაკომპლექტდება.

პირველად ხალიჩა ბერძენ-რომაელებს დაეთმობათ. დღეს 55, 66, 84 და 120-კილოგრამი წონითი კატეგორიები იჭიდავებენ და საღამოს ჩემპიონ-პრიზიორებიც გვეცოდინება. ხვალ კი 60, 74 და 96 კილოგრამიანები გავლენ საჭიდაოდ.

„ბათუმში ბრწყინვალე დარბაზი იხსნება და მომავალი ტურნირიც აუცილებლად უმაღლეს დონეზე ჩაივლის — გვითხრა გუშინ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა — მონაწილეებს თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოსაჩენად ყველანაირი პირობა შეექმნებათ. საქართველოს ჩემპიონატის საცქერად მოსული მაყურებელი კი უძლიერესი ქართველი მოჭიდავეების თავდადებულ ბრძოლებს იხილავს“.

ჩემპიონატის ფინალური შეხვედრების პირდაპირ ეთერში ნახვა ერთბაშად ორ ქართულ არხზე: საზოგადოებრივ მაუწყებელსა და აჭარის ტელევიზიაზე შეგეძლებათ. სატურნირო რეპორტაჟებს „სარბიელიც“ ყოველდღიურად შემოგთავაზებთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

სუმო

# კოკაი კატიკოსის ზღვარზე

**ორი ქულაც** და კოკაი იანვრის ბაშოზე დადებით ბალანსს — კატიკოსს გაინაღდებს. ქართველი სუმოისტი რვა ქულის ან მეტის დაგროვების შემთხვევაში მარტის ბაშოსთვის სტატუსს აიმაღლებს, რვაზე ნაკლები მოგება კი პირიქით, დაბლა ჩამოსწევს. ამჟამად ლევან ცაგურია დასავლეთის მეხუთე მაეგაშირაა, რაც მისთვის საუკეთესო მაჩვენებელი ნამდვილად არაა. შარშან „შავი ზღვა“ მაეგაშირათა სიის სათავეშიც იდგა და ორი ბაშო სულაც ერთით მაღალი წოდებით — კომუსუბის რანგში ჩაატარა.

კოკუგიკანურ ბაშოზე გუშინ მეთორმეტე ტურის შეხვედრები გაიმართა და კოკაიმ მეექვსედ იმარჯვა. ბალანსის გამნულებელი ქულა მან თავისსავით ექსკომუსუბი ამინისიკისთან აიღო. დღეს კიდევ ერთ ექსკომუსუბის, კაკიძოეს დაეჭიდება და თუ მასაც მოერია, კოკუგიკანის ბაშოზე დადებით ბალანსზე პირველად გადავა.

მართალია, ტურნირის ფინიშამდე სამი ტური რჩება, მაგრამ პლანეტის უძლიერეს სეკიტორ იოკძუნა ასასიორუს ალბათ გაჩემპიონებაში ხელს ვეღარავინ შეუშლის. იმპერატორის თასის ცხრამეტგზის მოგებ მონღოლს ძეოცე ტიტულამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებს.

„ცისფერი დრაკონის“ ანგარიშზე თერთმეტი ქულაა თორმეტი შესაძლებლიდან. გუშინ მისი მსხვერპლი თასის სამჯერ მომპოვებელი ოძეკი ტიოტაიკაი გახდა. ეს უკანასკნელი მეთორმეტე ტურამდე ასასიორუს ორი ქულით ჩამორჩებოდა და დაწევის იმედიც შერჩენოდა, ახლა კი...

**ოთარ მაღლაკელიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge